

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

ნინო ჩხეიძე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

2-5

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

7

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

10-39

1. ზოგადი ინფორმაცია

10

2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) გამოყენება

10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

15

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

24

5. შეცდომათა გასწორება

25

6. შემოსავლები

26

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

26

8. გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

26

9. ადმინისტრაციული ხარჯები

27

10. წმინდა ფინანსური ხარჯები

27

11. უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი

27

12. ძირითადი საშუალებები

29

13. მარაგები

30

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31

15. ფული და ფულის ექვივალენტები

31

16. საექციო კაპიტალი

32

17. აღებული სესხები

32

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

33

19. საიჯარო ვალდებულება

33

20. ფინანსური ინსტრუმენტები

34

21. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები

37

22. პირობითი ვალდებულებები

38

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

39

ხელმძღვანელობის ანგარიში

40

დანართი „ა“ - არააუდიტებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები

44

იოანე ჯგერგაძე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „იბერია რეფრეშმენტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და ცვლილებას სააქციო კაპიტალში ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშში ინფორმაციის განმარტებაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-თან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 იანვარს:

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
21 იანვარი 2020 წელი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
21 იანვარი 2020 წელი

თიბო ჯიფიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „იბერია რეფრეშმენტსი“-ს აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „იბერია რეფრეშმენტსი“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით შეგვემოწმებინა მაცივრების არსებობა, რომელიც შესულია ძირითადი საშუალებების მანქანა დანადგარების და მოწყობილობების კატეგორიაში, საბალანსო ღირებულებით 1,710 ათასი ლარი და 2,620 ათასი ლარი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მანქანა დანადგარების და აღჭურვილობის შემადგენლობაში შემავალი მაცივრებისთვის, სრული რეესტრის და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრების არ არსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით მათზე დაკვირვება ან ალტერნატიული პროცედურებით დარწმუნება მათ არსებობაში. შესაბამისად, ვერც მათთან დაკავშირებული გავლენის განსაზღვრა ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებზე, ასევე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე.

ვინაიდან ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის განმავლობაში, ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ აუცილებელი იყო თუ არა ოპერაციების შედეგებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება 2017 წლისთვის. შესაბამისად, ჩვენ გამოვთქვით პირობითი აუდიტის მოსაზრება კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ზემოთ ნახსენები მოვლენის მიმდინარე წლის შედეგების შესადარის მონაცემებზე შესაძლო ეფექტიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება ასევე იქნა მოდიფიცირებული 2018 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები პირობითი მოსაზრების გამოსახატავად.

ნიკო ქეზუა

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, იმ დაშვებით რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობას. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 3-ში, კომპანია იმყოფება ზარალზე და ვერ წარმოქმნა დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. აღნიშნული მოვლენა, სხვა საკითხებთან ერთად, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 3-ში, აჩვენებს რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის შესაძლებლობაზე გააგრძელოს უწყვეტი ფუნქციონირება. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ში, ასევე განხილულია ხელმძღვანელობის გეგმები ამ საკითხებთან დაკავშირებით. თანდართული ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს რაიმე შესწორებებს, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული ამ გაურკვევლობის შედეგებიდან გამომდინარე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და დანართ „ა“-ში მოცემულ არააუდიტირებული, არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (Non-GAAP) საზომს.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და დანართ „ა“-ში მოცემულ არააუდიტირებულ დამატებით ინფორმაციას და ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ, რაიმე ფორმის რწმუნებას. ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული ინფორმაციის წაკითხვა და შემოწმება მოცემული ინფორმაცია არსებითად არის თუ არა შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან ან სხვაგვარად აღმოჩენა რომ წარმოადგენს არსებითად უზუსტობას.

თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით რომ ამ ინფორმაციის არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ავღნიშნოთ ეს ფაქტი. როგორც აღწერილია „პირობითი დასკვნის საფუძვლების“ ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა მანქანა დანადგარების და აღჭურვილობების ჯგუფში შემავალი მაცივრების საბალანსო ღირებულების სათანადო მტკიცებულების მოპოვება 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მარაგების ნაშთების 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, ზემოთხსენებული მოვლენების ეფექტი ასევე ვერ იქნა განსაზღვრული მოგება-ზარალის და სრულ შემოსავლების უწყისზე. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა სხვა ინფორმაციაზე არსებულ მატერიალური უზუსტობაზე რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოთხსენებული მოვლენებით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამოხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება, პოტენციურად ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვინაობა ჩვენებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული ზრდებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმვით შინაარსსა და გარეგნულ, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ნიმუში

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტუარტ ლეიტონი

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

2020 წლის 21 იანვარი

თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავლები	6	37,730	40,699
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(24,238)	(27,816)
მთლიანი მოგება		13,492	12,883
გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	8	(7,529)	(7,741)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(4,698)	(3,470)
წმინდა ფინანსური ხარჯები	10	(3,025)	(3,465)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(875)	(249)
სხვა შემოსავალი, წმინდა		47	100
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,588)	(1,942)
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
სულ წლის სრული ზარალი		(2,588)	(1,942)

ხელმძღვანელობის სახელით

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	12	13,411	11,819
არამატერიალური აქტივები		170	228
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,581	12,047
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	13	6,431	5,539
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,760	5,594
ფული და ფულის ექვივალენტები	15	216	489
სულ მიმდინარე აქტივები		14,407	11,622
სულ აქტივები		27,988	23,669
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი</i>			
სააქციო კაპიტალი	16	16,277	16,277
დაგროვილი ზარალი		(33,900)	(31,312)
სულ კაპიტალი		(17,623)	(15,035)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
აღებული სესხები	17	31,823	7,128
საიჯარო ვალდებულება	19	574	182
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		32,397	7,310
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
აღებული სესხები	17	2,364	22,904
საიჯარო ვალდებულება	19	503	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	18	10,347	8,376
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,214	31,394
სულ ვალდებულებები		45,611	38,704
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,988	23,669

ხელმძღვანელობის სახელით

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10 -39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მიმო ქვოვჭ

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,277	(29,370)	(13,093)
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(1,942)	(1,942)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,277	(31,312)	(15,035)
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(2,588)	(2,588)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,277	(33,900)	(17,623)

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ზიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე კორექტირებები:		(2,588)	(1,942)
ცვეთა და ამორტიზაცია		1,819	1,531
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	9	688	169
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(3)
მარაგების გაუფასურება		270	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	2,408	2,078
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		1,490	1,636
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების შეცვლამდე		4,087	3,469
მოძრაობები საბრუნავ კაპიტალში:			
ზრდა სავაჭროდა სხვა მოთხოვნებში		(3,248)	(571)
ზრდა მარაგებში		(1,162)	(404)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,444	(44)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და გადასახადებამდე		1,121	2,450
გადახდილი პროცენტი		(1,853)	(1,152)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(732)	1,298
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,432)	(2,589)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	9		47
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,423)	(2,542)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		9,905	28,489
სესხების დაფარვა		(6,862)	(27,019)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(283)	(53)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,760	1,417
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა ფულის ექვივალენტებში		(395)	173
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში		489	444
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი უცხოურ ვალუტაში ფლობილ ფულის ნაშთზე		122	(128)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	15	216	489

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბო ქიოჭ

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში, მისი რეგისტრაციის მისამართია: 0109 თეთრი ხევი ჰესი, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზირებული გამაგრილებელი სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo, Inc-სთან გაფორმებული ფრანშიზის ხელშეკრულების თანახმად. გარდა ამისა, კომპანია წარმოადგენს PepsiCo, Inc-ის რამდენიმე პროდუქტის იმპორტიორს. კომპანია პროდუქტების რეალიზაციას ახდენს საქართველოს მასშტაბით, საკუთარი სადისტრიბუციო არხებით.

წარმოების პროცესი ხორციელდება კომპანიის მფლობელობაში მყოფ ქარხანაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის წილებს:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შპს „ELSU Inc.“	84.90%	84.90%
ალმაფარ აჰმად აბდულა ალი	15.10%	15.10%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის 84.90% წილის მფლობელია შპს „ELSU Inc“, შპს-ის კომპანია, რომელიც თავის მხრივ კონტროლდება ინვესტორთა კონსორციუმით, რომელსაც ხელმძღვანელობს სარქისიანთა ოჯახი, როგორც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. დაფინანსების უმეტესი ნაწილი მომდინარეობს უმეტესი აქციონერისგან სესხების სახით. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები განმარტებულია შენიშვნა 21-ში. ეს ფინანსური ანგარიშები ხელმოწერილია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 იანვარს.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) გამოყენება

2018 წელს შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები იქნა მიღებული:

- „ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები;
- „ფასს 15“ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და დაკავშირებული განმარტებები);
- „ფასს 22“ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.

კომპანიამ „ფასს 15“ და „ფასს 9“ პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ. როგორც ამ ახალი საბუღალტრო სტანდარტების მიღების შედეგი.

„ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები

„ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები ცვლის „ბასს 39“-ის ფინანსურ ინსტრუმენტებს: აღიარება და შეფასება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვრის ან მის შემდეგ, აერთიანებს ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა; კომპანიამ გამოიყენა „ფასს 9“ პროსპექტიულად, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, 2018 წლის 1 იანვარს პირველად. კომპანიას ხელახლა არ წარმოუდგენია შედარებითი ინფორმაცია, რომლის წარდგენა გრძელდება „ბასს 39“-ის შესაბამისად. „ფასს 9“-ს გამოყენებით წარმოქმნილი განსხვავებები პირდაპირ აღიარებულ იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვალდა სამომავლოდ მოსალოდნელი საკრედიტო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

დანაკარგების (მსდ - ECL) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, კომპანია ვალდებულია, მსდ-ის რეზერვი აღიაროს

ყველა ფინანსურ აქტივზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული, მოგება-ზარალში და ასევე სახელშეკრულებო აქტივებზე. ფინანსური აქტივების მარტივი ბუნებიდან გამომდინარე, კომპანია გაუფასურებას გამარტივებული მიდგომით ანგარიშობს, მთლიან საბალანსო ღირებულებაზე არსებობის მანძილზე მსდ-ის გამოყენებით.

ბანკში განთავსებული ყველა ნაშთი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მატარებელი, რადგან ისინი სანდო საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებშია განთავსებული.

ვაჭრობისა და სხვა მოთხოვნების დამატებითი გაუფასურება არ აღიარებულა 2018 წლის იანვრის მდგომარეობით, ბალანსზე „ფასს 9“-ის გამოყენების შედეგის არამატერიალურობის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია შეფასების თავდაპირველი კატეგორიები, „ბასს 39“-ის შესაბამისად და ახალი შეფასების კატეგორიები „ფასს 9“-ის შესაბამისად კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია „ბასს 39“-ის შესაბამისად	ახალი კლასიფიკაცია „ფასს 9“-ის შესაბამისად	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება „ბასს 39“-ის შესაბამისად	ახალი საბალანსო ღირებულება „ფასს 9“-ის შესაბამისად
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხი და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	216	216
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხი და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	7,760	7,760
სულ ფინანსური აქტივები			7,976	7,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	10,347	10,347
საიჯარო ვალდებულება	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	1,077	1,077
სესხები და კრედიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	34,187	34,187
სულ ფინანსური ვალდებულებები			45,611	45,611
წმინდა ფინანსური ვალდებულებები			(37,635)	(37,635)
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი			-	-

„ფასს 15“ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს სტანდარტს: ბასს 18 – შემოსავლები და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელიც ასახავს კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობას.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ მსჯელობაზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ეტაპის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. ამასთანავე, ფასს 15 ითხოვს განმარტებითი შენიშვნების გაშიფვრას უფრო გაფართოებული სახით.

„ფასს 15“-ის ძირითადი პრინციპი არის, რომ კომპანიამ უნდა აღიაროს შემოსავლები, რათა ასახულ იქნას დაპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემა კლიენტებსთვის იმ ოდენობით, რის მიღებასაც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ, კერძოდ, სტანდარტი წარადგენს 5 საფეხურიან მიდგომას შემოსავლების აღიარებისთვის:

- დამკვეთთან ხელშეკრულების განსაზღვრა;
- შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა ხელშეკრულებაში;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- მივაკუთვნოთ ტრანზაქციის ფასი შესრულების ვალდებულებებს ხელშეკრულებაში;
- შემოსავლების აღიარება როცა (ან როგორც) კომპანია ასრულებს ვალდებულებას.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია ამონაგებს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა.

კომპანიამ მიიღო „ფასს 15“, რომელიც ძალაში შედვიდა 2018 წლის 1 იანვარს, შეცვლილი რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით.

კომპანიამ შეაფასა არსებული პრაქტიკული მიზანშეწონილი საშუალებები სტანდარტის გამოყენებისთვის და დაასკვნა, რომ ზოგიერთი მათგანი უნდა იქნას გამოყენებული ფასს 15-ის მიღებისას კომპანიის შემოსავლის აღიარებისთვის. კერძოდ, როგორც პრაქტიკული საშუალება, მენეჯმენტი მხედველობაში არ იღებს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტებს, სადაც დროის განსხვავება მოსაზრების მიღებასა და საქონელზე კონტროლის გადაცემას შორის თავიანთი დამკვეთებისთვის არის ერთი წელი ან ნაკლები. სხვა პრაქტიკულ საშუალებებს არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის შემოსავლების აღიარებაზე ამიტომაც არ გამოყენებულა.

კომპანიის კონტრაქტორებთან თითოეული გაყიდვის ხელშეკრულების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთ კომპონენტზე დაფუძნებული შესრულების ვალდებულება, ანუ დადგინდა პერიოდში დილერებისათვის პროდუქტის მიყიდვა და, ამდენად, ტრანზაქციის ფასი მხოლოდ ამ ვალდებულებას მიეწერება. გაყიდვის მომენტში კლიენტზე კონტროლის გადაცემის შემდეგ კომპანიის შესრულების ვალდებულება სრულდება და ხდება შემოსავლის აღიარება.

კომპანიის შესრულების ვალდებულების დასრულების შემდეგ, კომპანიას აქვს უპირობო უფლება ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების მიღებაზე. მოთხოვნები ჩვეულებრივ მიიღება ორ თვეზე ნაკლებ ვადაში, რაც გადახდის პირობების შესაბამისია. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შესრულების ყველა ვალდებულების თავდაპირველი ხანგრძლივობა ერთი წელი ან ნაკლებია. გაყიდვების პირობები ზოგიერთი დამკვეთისთვის არ ითვალისწინებს დაბრუნების უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც უკავშირდება კომპანიის მხრიდან წარმოების რაიმე წუნს. მიუხედავად ამისა, დამკვეთთან კარგი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, კომპანია საკუთარი ნებით, იძლევა ვადაგასული პროდუქტის დაბრუნების საშუალებას გონივრულ დონემდე.

ცვალებადი საზღაური ფასდაკლებების ფორმით გამოქვითულია მთლიანი შემოსავლიდან შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. 2018 წელს, კომპანიამ არ აღიარა შემოსავალი 2,241 ათასი ლარის ოდენობით საბითუმო კონტრაქტთან მიმართებაში არსებულ დამკვეთებთან ღირებულების და მოცულობის ფასდაკლებებით.

„ფასიკ 22“ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.

„ფასიკ 22“-ის ინტერპრეტაცია აღწერს თუ როგორ განისაზღვროს „ტრანზაქციის თარიღი“, გაცვლითი კურსის დადგენის მიზნით, რათა გამოყენებულ იქნას აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის საწყისი აღიარებისთვის, როდესაც საზღაური იმ ნივთისთვის გადახდილია ან მიღებულია წინასწარ უცხოურ ვალუტაში, რამაც გამოიწვია არაფულადი აქტივის აღიარება ან არაფულადი ვალდებულება (მაგალითად, არადაბრუნებადი ანაზღაურება ან გადავადებული შემოსავალი)

ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის თარიღი, რომლის დროსაც ორგანიზაცია თავდაპირველად აღიარებს არა-ფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა გადახდის ან წინასწარი საზღაურის მიღებიდან. თუ არსებობს მრავალი გადახდა ან წინასწარ გადახდის

ნოო ქიკოძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

დოკუმენტი, ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ განსაზღვროს ტრანზაქციის თარიღი თითოეული გადახდისთვის ან წინასწარი საზღაურის მიღებისთვის.

ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები, რომელიც გამოიცა მაგრამ არ არის ძალაში;

- ფასს 16 - იჯარა¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი¹.
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;

1. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტიული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად გადაფასების გარეშე;

ფასს 16 იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარეს ფინანსურ ანგარიშგებაში დამუშავების პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის პირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16:C5(6) შესაბამისია. ამდენად, სტანდარტის გამოყენების პირველ დღეს გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულების ოდენობით აისახება. ცვლადი ანაზღაურებანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადის მქონე აქტივების შემთხვევაში, კომპანია პრაქტიკულ საშუალებათა საშუალებას მიმართავს და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, კომპანია შეეცამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამოწვევებს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალდირებულიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი

იონი ჭიჭიკაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად. გარდა ამისა, დეტალური განმარტებები მოთხოვნილია „ფასს 16“-ის მიერ.

მენეჯმენტმა დაასრულა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური გავლენის თავდაპირველი შეფასება, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებია მისი დეტალური შეფასება. საწყისი გამოყენების პერიოდში „ფასს 16“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოყენების ფაქტობრივი ზეგავლენა დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობებზე, კომპანიის იჯარის პორტფოლიოს განვითარებაზე, კომპანიის შეფასებაზე გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების რაიმე ვარიანტებს და ხარისხს, რომელშიც კომპანია ირჩევს გამოიყენოს პრაქტიკულ მეთოდებს და აღიარების გამონაკლისებს. საწყის შეფასებაზე დაფუძნებით, კომპანია ითვალისწინებს, რომ „ფასს 16“ ის გამოიყენებს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

„ფასს 9“-ის შესწორებები წინასწარ გადახდის ფუნქციები ნეგატიური კომპენსაციით

„ფასს 9“-ში ცვლილებები განმარტავენ, რომ იმის შესაფასებლად შეესაბამება თუ არა წინასწარ გადახდის ფუნქცია SPPI (მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდები) პირობას, მხარეს რომელიც იყენებს ოფციონს შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს გონივრული ანაზღაურება წინასწარ გადახდისთვის მიუხედავად წინასწარ გადახდის მიზეზისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ წინასწარ გადახდის ფუნქციები ნეგატიური ანაზღაურებით ავტომატურად არ გულისხმობს შეუსაბამებლობას SPPI-თან.

კომპანიის მენეჯმენტი არ ითვალისწინებს, რომ „ფასს 9“-ში შეტანილი ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ციკლი მოიცავს ოთხი სტანდარტის შესწორებას: ფასს 3 „ბიზნესების გაერთიანება“, ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 12 „მოგების გადასახადები“ და ბასს 23 „სესხის აღების ხარჯები“.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება თუ არა.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დათვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

„ფასს 3“-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავენ, რომ როდესაც ორგანიზაცია მოიპოვებს ბიზნესსზე კონტროლს, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ოპერაციას, ორგანიზაცია იყენებს საწარმოთა გაერთიანების მოთხოვნებს ეტაპობრივი მიღწევის საშუალებით, ერთობლივ ოპერაციაში მისი ადრინდელი წილის (PHI) რეალური ღირებულებით ხელახლა შეფასების ჩათვლით. PHI, რომელიც ექვემდებარება ხელახლა შეფასებას, მოიცავს არ აღიარებულ აქტივებს, ვალდებულებებს და კეთილ ნებას, დაკავშირებულს ერთობლივ ოპერაციასთან.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, კომპანია არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილებს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 განმარტავს, თუ როგორ განისაზღვროს საბუღალტრო გადასახადის მდგომარეობა, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. ინტერპრეტაცია მოითხოვს ორგანიზაციისგან:

- განსაზღვროს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ფასდება ცალკე თუ როგორც კომპანია; და
- შეაფასოს, არსებობს თუ არა ალბათობა იმისა რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოთვლის მიდგომებს, გამოყენებულს ან შეთავაზებულს გამოსაყენებლად ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენისას.
 - თანხმობის შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია გამოყენებული ან გამოსაყენებლად დაგეგმილი საგადასახადო მიდგომის შესაბამისად, რომელსაც გამოიყენებს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენისას,
 - უარის შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა ასახოს გაურკვევლობის გავლენა მისი საბუღალტრო საგადასახადო მდგომარეობის განსაზღვრისას.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ, იმ ვარაუდით, რომ კომპანია გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და მისი ვალდებულებების შესრულებას ნორმალური სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში.

კომპანიამ დაასრულა წელი: 2,588 ათასი ლარის წმინდა ზარალით (2017: წმინდა ზარალი 1,942 ათასი ლარი), მისი დაგროვილი ზარალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 33,900 ათასი ლარი (2017: 31,312 ათასი ლარი).

გარდა ამისა, 2018 წლის 31 წლის მდგომარეობით, კომპანიამ დაარღვია ფინანსური და სხვა საკონტრაქტო შეზღუდვა, რომელიც გათვალისწინებული იყო „ვითიბი“ ბანკთან არსებული ხელშეკრულებით (შენიშვნა 17) სრული თანხით 16,657 ათასი ლარი. 2018 წლის დასასრულამდე კომპანიამ მიიღო „ვითიბი“ ბანკისგან მოთხოვნაზე უარის თქმის წერილი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი არ ითხოვენ სესხის თანხის წინასწარ დაფარვას 12 თვის განმავლობაში მოთხოვნაზე უარის წერილის გაცემის შემდეგ სასესხო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის გამო.

2015 წლიდან კომპანია უზრუნველყოფდა სასმელების ბოთლში ჩამოსხმის მომსახურებას შპს Sah & Co-სთვის, რომელიც წარმოადგენდა ენერგეტიკული სასმელების „Boom fire“ და „Boom best“-ის მწარმოებელს. შპს „Sah & Co“-დან შემოსავალმა შეადგინა მთლიანი გაყიდვების 35 % 2017 წლის განმავლობაში (დაახლოებით 12,7 მილიონი ლარი). კონტრაგენტთან ხელშეკრულება შეწყდა 2017 წლის ნოემბერს, რომელმაც განაპირობა 2018 წლის განმავლობაში გაყიდვების შემცირება.

„Boom best“-ის გაყიდვების შეწყვეტამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიის მისცა საშუალება მეტად კონცენტრირებულიყო ძირითადი ბიზნესის ზრდაზე 2017-2018 წლიდან. ზემოთ აღნიშნული კონცენტრაციის სადემონსტრაციოდ გასული 2 წლის განმავლობაში 2017-2018 წლები როგორც გაყიდვების მოცულობებისა ასევე ოდენობების თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი გაიზარდა 31 მილიონი ლარიდან („Boom best“ გამოკლებით) 2017 წელს 38 მილიონ ლარამდე 2018 წელს. ძირითადი ბიზნესის განვითარებაზე კონცენტრირებამ მოითხოვა უფრო დიდი საწყისი სამუშაო ინვესტიციები, რამაც გამოიწვია ნეგატიური საოპერაციო ფულადი ნაკადები 2018 წლის განმავლობაში.

კომპანიის სტრატეგია გულისხმობს განაწილებისა და ბაზრის წილის ზრდას, რაც ნიშნავს მნიშვნელოვან ინვესტიციებს გაყიდვებში, მარკეტინგსა და გამაგრებულ სასმელებში. მენეჯმენტი, ასევე, გეგმავს მომავალში რამდენიმე ახალი პროდუქტის წარდგენას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს გაყიდვების შემდგომ ზრდას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ბაზარზე გაზრდილი ინვესტიციის შედეგი დემონსტრირებულია ფაქტობრივი შემდგომი პერიოდის შედეგებით, რომელმაც აჩვენა მნიშვნელოვანი შემოსავლების ზრდა 2019 წლის განმავლობაში. კომპანიამ ასევე დაამატა დამატებითი ადამიანური რესურსი მომდევნო წელს, რომელმაც ძირითადად უნდა აწარმოონ მართვის ბუღალტრული აღრიცხვა და მოახდინონ წარმოების ფასების ოპტიმიზირება, მომავალში სამუაო ეფექტის მისაღებად.

გარდა ამისა, წლის დასრულების შემდეგ კომპანიამ მიიღო ფორმალური ვალდებულება უმსხვილესი აქციონერებისგან საოპერაციო საქმიანობის და ვალდებულებების მოგვარების მხარდასაჭერად. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის გზით. მენეჯმენტი თვლის, რომ წერილი აჩვენებს მშობელი კომპანიის გეგმებს, ქართული ოპერაციების მხარდასაჭერად სამომავლო ზრდისთვის.

ეს ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა გარკვეული საკუთრებებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც ფასდება გადამსახურებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, როგორც საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკებშია აღწერილი.

ისტორიული ღირებულება, როგორც წესი, დაფუძნებულია საზღაურის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც გაცემულია საქონლის და მომსახურებების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ტრანზაქციებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდით, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, საიჯარო ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და ისეთ ღირებულებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ არ არის სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, ბასს 2-ით გათვალისწინებული წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ით გათვალისწინებული გამოყენების ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის რეალური ღირებულების შეფასებები კლასიფიცირდება 1, 2 ან 3 დონეების მიხედვით, „რომელშიც დაკვირვებადია რეალური ღირებულების შეფასების ამოსავალი მონაცემები და რეალური ღირებულების შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა მთლიანობაში, რომელიც ქვემოთაა აღწერილია;

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა. თითოეული კომპანიის სამეურნეო ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მუხლები ფასდება ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც სამეურნეო ერთეული მუშაობს („ფუნქციონალური ვალუტა“). დედა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“). ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ნიო ქიკო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
 (ათასობით ქართულ ლარში)

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქცევა, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლების აღიარება. გაყიდვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქტზე კონტროლის გადაცემა, კერძოდ, როდესაც პროდუქტი მიეწოდება საბითუმო მოვაჭრეს, ამ უკანასკნელს ენიჭება უფლებამოსილება პროდუქტების გასაღების არხისა და ფასის დადგენაზე და კომპანიას აღარ აქვს შეუსრულებელი ვალდებულება, რაც იმოქმედებდა საბითუმო გამყიდველის მიერ პროდუქტების მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ როცა დამკვეთის და დაკარგვის რისკები გადაეცემა ბითუმად მოვაჭრეს ან ბითუმად მოვაჭრემ მიიღო პროდუქტები გაყიდვების კონტრაქტის შესაბამისი დებულებების მიხედვით.

კომპანია აღიარებს შესრულების ვალდებულებას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის დროის გარკვეულ მომენტში, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი შესრულების ვალდებულება თითოეული შემთავაზებისთვის.

შემოსავალი აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. გაყიდვის პირობების მიხედვით, შემოსავლის ოდენობას აკლდება მოცულობის ან ღირებულების ფასდათმობები, რომლებიც დილერებზე ან გაყიდვის წერტილებზე გათვალისწინებული.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. თავდაპირველი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათიპირვანდელი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა:

- მშენებარე აქტივებთან დაკავშირებული გაცვლითი კურსის სხვაობებისა უცხოური ვალუტის სესხებში, მომავალი პროდუქტიული გამოყენებისთვის, რომელიც შესულია იმ აქტივების ფასში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც იმ უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება;
- გაცვლითი კურსის განსხვავებებისა ფულად საშუალებებზე მისაღები ან გადასახდელი უცხოური ოპერაციისთვის, რომლისთვისაც გაანგარიშება არც იგეგმება და არც სავარაუდოდ მოხდება (ამიტომაც, წარმოადგენს წმინდა ინვესტიციების ნაწილს უცხოურ ოპერაციებში), რომელიც აღიარებულია თავდაპირველად სხვა სრულ შემოსავალში და ხელხალკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგება ან ზარალამდე ფულადი სახსრების დაფარვის თაობაზე.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები, წლის ბოლოსთვის, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
GEL/USD	2.6766	2.5922
GEL/EUR	3.0701	3.1044

ინიო ქიქოძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი აღირიცხება საანგარიშგებო დღისათვის საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ან არსებითად მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგებები;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადასახადები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურებების და/ან უსაყიდლო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, საგარუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

დაბეგვრის ახალი მოდელის ამოქმედების შედეგად, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12-ის „მოგების გადასახადები“ შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები კომპანიების დაბეგვრის ახალ მოდელში აღარ მოქმედებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარდება ნეტო საფუძველზე. თუ მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან დაწყებული მენეჯმენტი წარმოადგენს კომპანიის საგადასახადო ნაშთებს ნეტო საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება 407-ს საფუძველზე დათარიღებული 2015 წლის 7 დეკემბერს.

ძირითადი საშუალებები. მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მიმდინარე მშენებლობები მოცემულია პირვანდელი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ ფასად, რა ფასიც ითვლება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განსაზღვრულ მათ რეალურ ღირებულებად 2013 წლის 1 იანვრისთვის, ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთისა და/ან შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მცირე მასშტაბის შეკეთების ხარჯები აღიარდება გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსმენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი, რაიმე ნიშნის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს

ირო ძეგლაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ანაზღაურებას დაქვემდებარებულ თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უმეტესი ვიდრე აქტივისი რეალური ღირებულება გაყიდვებასა და გამოყენებაში მისი ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებას დაქვემდებარებულ თანხამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარდება მოგება წაგებაში წლის განმავლობაში. წინა წლებში აქტივისათვის აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება საჭიროების შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას შეფასებაში, რომელიც გამოყენებულია გამოყენებაში აქტივის ღირებულებას ან რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოკლებული გასაყიდი ხარჯების გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალსა და ხარჯებში.

წარმოებისთვის, მიწოდებისთვის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის მიმდინარე მშენებლობისას, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პროფესიულ საფასურებს. განსაკუთრებული აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ასეთი საკუთრებები კლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში, როდესაც დასრულებდა და მზად არის გამოყენებისთვის. ამ აქტივების ცვეთა, ისევე, როგორც სხვა ქონებრივი აქტივების, იწყება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები მზად არიან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნაწილებზე ცვეთა დაიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. გაანგარიშებული სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და პროგნოზის ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობები	30 წელი
მანქანა -დანადგარები და აღჭურვილობა	2-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი

ფინანსური იჯარის პირობებში განთავსებული აქტივები ამორტიზდება მათი მოსალოდნელი ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, იმავე საფუძველზე, როგორც საკუთრებაში არსებული აქტივები. ამასთან, როდესაც არ არსებობს გონივრული რწმუნება, რომ საკუთრება მოიპოვება იჯარის ვადის გასვლის დროისთვის, აქტივები ამორტიზდება უმცირესით, იჯარის ვადას და მათი ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდს შორის.

ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კომპანიის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე, სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, შეფასებით, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ შესაბამისი აქტივი გადაფასებული ღირებულებით არ არის შეფასებული, რა დროსაც გაუფასურების დანაკარგი განიხილება როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

როცა გაუფასურების ზარალი შემდგომში ანაზღაურდება, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეული) იზრდება მისი ანაზღაურებადი თანხის შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა, რომ არა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება აქტივისთვის (ან ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეული). გაუფასურების ზარალის ანუღიარება აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებას ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი გადაფასებული ღირებულებით არაა შეფასებული, რა დროსაც გაუფასურების დანაკარგი განიხილება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. თუ ასეთი ნიშნები არსებობს, ფასდება აქტივების აღდგენითი ღირებულებები.

გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან მისი შემოსავლის მომტანი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებას აჭარბებს. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა. ისეთი აქტივის შემთხვევაში, რომელიც ფულად შემოდინებებს არ გამოიმუშავებს სხვა აქტივების ფულადი ნაკადებისგან დამოუკიდებლად, აღდგენითი ღირებულება დგინდება შემოსავლის მომტანი იმ ერთეულის მიხედვით, რომელსაც ეს აქტივი ეკუთვნის.

თუ პროგნოზი ისე შეიცვალა, რომ ამან გამოიწვია აღდგენითი ღირებულების გაზრდა, გაუფასურების დანაკარგები უქმდება, მაგრამ თუ ამით აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს ისეთ საბალანსო ღირებულებას ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, რომლითაც აქტივი შეფასდებოდა, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

არამატერიალური აქტივების შეძენა. განსაზღვრული მოხმარების ვადის იმ არამატერიალური აქტივების ღირებულებას, რომლებიც ცალ-ცალკე იყო შეძენილი, აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდის მიხედვით. დარჩენილი სასარგებლო მოხმარების ვადა და ცვეთის მეთოდი არის მიმოხილული თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასებული ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცალკემდგომად შეძენილი განუსაზღვრელი მოხმარების ვადის არამატერიალური აქტივები აისახება როგორც ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ანარიცხები. ანარიცხები აღიარებულია, როცა კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად, არსებობს ალბათობა რომ კომპანიას მოეთხოვება ვალდებულების ანგარიშსწორება, და საიმედო შეფასება შესაძლებელია ვალდებულების ოდენობაზე.

ანარიცხად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ ფულის დროში ღირებულების ეფექტი საკმარისად დიდია).

როდესაც ანარიცხების დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასაული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა). მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასაული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი აისახება მთლიანად ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მისი კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღსარიცხი. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ბუნებაზე და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით ასახავს, თუ კმაყოფილება ორივე შემდეგი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში აღირიცხება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებითა და ფინანსური აქტივის გაყიდვით; და
- ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდებს.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი ფასდება შემდგომი რეალური ღირებულებით მოგების და ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას გამოიყენოს შემდეგი შეუქცევადი პირობა/კლასიფიკაცია:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

- კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად გადაწყვიტოს, წილობრივი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად დაადგინოს ისეთი სავალო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახულის ან ამორტიზებული ღირებულებით ასახულის კრიტერიუმს, თუ ამ შემთხვევაში, მოხდება ბუღალტრული შეუსაბამობის სრული აღმოფხვრა ან მნიშვნელოვნად შემცირება.

არსებული გამოცდილების საფუძველზე, კომპანია ყველა აქტივს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. აქტივები პირველ ბიზნეს-მოდელში კლასიფიცირდება - „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

ისეთი ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არ არის შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივები (ანუ ის აქტივები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი ხარვეზიანია საწყისი აღიარებისას), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის საგარეუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებითა და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით, საწყისი აღიარებისას სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი აისახება საწყისი აღიარებისას, ძირითადად გადამხდების გამოკლებითა და ჯამური ამორტიზაციის დამატებით, საწყისი ოდენობასა და ვადის გასვლისას ოდენობას შორის სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელიც კორექტირებულია დანაკარგების რეზერვზე. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება დანაკარგების რეზერვის შექმნამდე.

შემდგომში სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი შემდგომში გაუუარესდათ (იხილეთ ქვემოთ). ამ უკანასკნელი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ პერიოდებში ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი გაუმჯობესდება და ეს ფინანსური აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხისა აღარ არის, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება მის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს თავდაპირველად აღიარებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გამოთვლა მთლიან ღირებულებაზე არ გადადის მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი უმჯობესდება და ეს აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ აქტივად აღარ ითვლება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები. ფულადი და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში, დეპოზიტებსა და საბაზრო ფასიან ქაღალდებს, 3 თვეზე ნაკლები პირველადი დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად კომპანია იყენებს ფასს 9-ით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელშიც ყველა სავაჭრო მოთხოვნისა და სახელშეკრულებო აქტივისათვის გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) არსებობის მანძილზე. ამდენად, ფულისა და ფულის ექვივალენტების და სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას არ ამოწმებს. ამის ნაცვლად ის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში დანაკარგების რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსდ-ის საფუძველზე. კომპანია მიმართავს რეზერვირების მიდგომას, რომელიც მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც კორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსათვის დამახასიათებელი ფორვარდული ფაქტორებით. გაუფასურების მოდელთან ერთად კომპანია აგრეთვე იყენებს დებიტორების საკრედიტო რეიტინგებს, რომლებსაც გარე წყაროებიდან მოიპოვებს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს, თუ სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივი დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად შეიძლება ჩაითვალოს, თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, კომპანიამ დაარქონილი სახელშეკრულებო თანხა სრულად მიიღოს მის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი საშუალებების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი აქტივები გაუფასურების დანაკარგების რეზერვიდან ჩამოიწერება აქტივის აღდგენის ყველა პროცედურის დასრულებისა და დანაკარგის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშში წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა პირს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გარდა ამისა, სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის აღიარების გაუქმებისას, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში მანამდე დაგროვილი ჯამური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები.

ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები აისახება "FVTPL" საშუალებით ან "ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით".

სხვა ფინანსური ვალდებულებები. სხვა ფინანსური ვალდებულებები (მათ შორის სესხები და სავაჭრო და სხვა გადასახდელები) თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გამოკლებული

ტრანზაქციის ხარჯები. შემდგომში ისინი განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარა – იჯარები კლასიფიცირდება როგორც, ფინანსური იჯარები, როდესაც იჯარის პირობები გადასცემს მოიჯარეს პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია როგორც სამუშაო იჯარა.

სესხები და კრედიტები. სესხები და კრედიტები თავდაპირველად აღირებულია მათი რეალური ღირებულებას ტრანზაქციის ხარჯები გამოკლებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით იგივე ინსტრუმენტისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და კრედიტები აისახება ამორტიზებულ ფასად ეფექტური შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობით საწყის აღიარების თანხასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარდება მოგებას ან ზარალში როგორც საპროცენტო ხარჯი მთლიანი დავალიანების პერიოდში. სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება ვალდებულების გადავადების შესახებ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, საანგარიშო თარიღიდან.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება კონტრაგენტის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის კრიტიკული შეფასებები, პროგნოზების მომცველი შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც ყველაზე დიდი ეფექტი ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება წარმოადგენს მენეჯმენტის მსჯელობის საგანს, რომელიც ემყარება მსგავსი აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებში ან შეფასებებში ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კორექტირებები ცვეთის მომავალ განაკვეთებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სავარაუდო დანაკარგების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია დამკვეთების უუნარობით გადაიხადონ მოთხოვნილი გადასახადები ან მომწოდებლების უუნარობით რომ მიწოდებულ იქნას შეთანხმებული საქონელი ან მომსახურებები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას,

მენეჯმენტი მისი შეფასებისას ყურდნობა მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებს, დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების ნაშთებს, თავდაპირველი ჩამოწერის გამოცდილებას,

ნიმო ქვემოთ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

დამკვეთთა და მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობებში განხორციელებულ ცვლილებებს. ეკონომიკაში, მრეწველობაში, ან დამკვეთის ან მიმწოდებლის სპეციფიკურ პირობებში ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს კორექტირებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიმართ. რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. როგორც #22 შენიშვნაშია განხილული, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა საქართველოში დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი თითოეულ საანგარიშგებო დღეს აფასებს. ვალდებულებები მოგების გადასახადის პოზიციებზე აღირიცხება, თუ მენეჯმენტის აზრით, ეს პოზიციები ნაკლებად დადგება ეჭვქვეშ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის არსებითად ან მთლიანად ამოქმედებული საგადასახადო ნორმების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება მენეჯმენტის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ხარჯი იქნება საჭირო საანგარიშგებო დღეს ვალდებულების დასაფარად. პროგნოზი რეალური შედეგებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

5. შეცდომათა გასწორება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის შემდეგ, მენეჯმენტმა გამოავლინა გარკვეული შეცდომები ცვეთის ხარჯთან და სხვა მოთხოვნების გაუფასურებასთან მიმართებაში, რომლებიც არ იყო სათანადოდ კლასიფიცირებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის და ხარჯების ბუნების მიხედვით. „ბასს 7“- თან „ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ შესაბამისობისთვის, სათანადო რეკლასიფიკაციები აღრიცხულია რეტროსპექტულად.

ზემოთ ნახსენებ რეკლასიფიკაციებს აქვთ შემდეგი გავლენა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	რეკლასიფიკაციის თანხა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	როგორც რეკლასიფიცირებული 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	აღწერა
გაყიდვა, დისტრიბუცია და მარკეტინგი	6,813	928	7,741	აქტივების ცვეთის ხარჯი, რომლებიც გამოიყენება გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის პროცესში არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მათი ხელახლა კლასიფიცირება ადმინისტრაციული ხარჯებიდან გაყიდვის, დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯებში.
სხვა შემოსავალი /გასავალი, წმინდა	(69)	169	100	სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მიკუთვნებული გაუფასურების ზარალი, არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მათი ხელახლა კლასიფიცირება სხვა შემოსავლიდან / (ხარჯებიდან) ადმინისტრაციულ ხარჯებში.
ადმინისტრაციული ხარჯები	4,229	(759)	3,470	აქტივებისთვის მიკუთვნებული ცვეთის ხარჯი, რომელიც გამოიყენება გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

პროცესში არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მისი ხელახლა კლასიფიცირება ადმინისტრაციული ხარჯებიდან გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯებში.

საეჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისხარჯი არ იყო სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მისი ხელახლა კლასიფიცირება სხვა შემოსავლიდან / (ხარჯებიდან) ადმინისტრაციულ ხარჯებში.

რეკლასიფიკაციებს არ ქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე.

6. შემოსავლები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის შემოსავლების ანალიზი უწყვეტი ოპერაციებისგან წლის განმავლობაში:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავლები ადგილობრივი გაყიდვებიდან	33,931	38,066
შემოსავლები საექსპორტო გაყიდვებიდან	3,799	2,633
	37,730	40,699

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მასალები	22,366	26,191
ხელფასები	1,074	1,124
ცვეთა	798	501
	24,238	27,816

8. გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
თანამშრომელთა ხელფასები	3,789	2,997
სატრანსპორტო ხარჯები	1,498	1,548
ცვეთის ხარჯები	926	928
შენახვის ხარჯები	856	1,593
მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯები	399	583
სხვა	61	92
	7,529	7,741

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
თანამშრომელთა ხელფასები	1,898	1,621
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	688	169
სარემონტო ხარჯი	676	359
პროფესიული მომსახურებები	332	596
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	329	162
გადასახადები, გარდა საშემოსავლოსა	327	196
ცვეთის ხარჯი	95	106
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	85	68
სხვა	268	193
	4,698	3,470

10. წმინდა ფინანსური ხარჯები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით	2,408	2,078
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	617	1,387
	3,025	3,465

11. უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცვლილებების შეტანას კორპორატიულ საგადასახადო კოდექსში, ცვლილებებით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი მოქმედია ქართული კომპანიებისთვის და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებებისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა.

ადრე არსებული მოგების გადასახადის რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გადასახადი, მათ ყოველწლიურ დაბეგვრად შემოსავალზე ახლა შეცვლილია სისტემით, სადაც გადასახადი უნდა იქნას გადახდილი მხოლოდ, მაშინ როცა კორპორატიული მოგებები ნაწილდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ცვლილებას ქონდა დაუყოვნებლივი გავლენა კომპანიის გადავადებულ გადასახადებზე რადგან ის აუქმებს დროებით სხვაობებს, გარკვეული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებს შორის ფინანსური საანგარიშგებო მიზნებისთვის და მათ საგადასახადო საფუძვლებისთვის.

გადავადებული საგასახადო აქტივის საგადასახადო საკონონმდებლო ბალანსის ცვლილებების გამო, რომელიც მიკუთვნებული იყო წინა პერიოდიდან, ადრე აღიარებული დროებითი სხვაობებისთვის, სრულად ჩამოიწერა მოგებას და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის.

2016 წლიდან, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაგროვილი ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტოს საფუძველზე. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დამატებითი ღირებულების გადასახადის ვალდებულება, გადასახდელი აქციები და სხვა წინასწარ გადასახდელი გადასახადი დაგროვილია საგადასახადო ვალდებულებებში, ნეტო ანგარიშზე ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

	მიწის საკუთრების უპირობო უფლება	შენობა- ნაგებობები	სამანქანო დანადგარები და მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობე ბი	ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	მიმდინარე მშენებლობები და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
ღირებულება								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	1,573	4,503	8,359	228	52	1,703	237	16,655
დამატებები	-	-	-	-	-	-	2,589	2,589
რეალიზაცია	-	-	(9)	-	(38)	-	-	(47)
ტრანსფერი	-	64	2,102	72	1	375	(2,614)	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,573	4,567	10,452	300	15	2,078	212	19,197
დამატებები	-	-	-	-	-	-	3,363	3,363
რეალიზაცია	-	-	(557)	(90)	-	(81)	-	(728)
ტრანსფერი	-	37	2,212	65	2	1,069	(3,385)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,573	4,604	12,107	275	17	3,066	190	21,832
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	494	4,433	134	33	819	-	5,913
რეალიზაცია	-	-	(8)	-	(35)	-	-	(43)
ცვეთის ხარჯი	-	80	1,271	39	7	111	-	1,508
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	-	574	5,696	173	5	930	-	7,378
რეალიზაცია	-	-	(555)	(89)	-	(74)	-	(718)
ცვეთის ხარჯი	-	164	1,408	48	4	137	-	1,761
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	738	6,549	132	9	993	-	8,421
საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერს	1,573	3,993	4,756	127	10	1,148	212	11,819
2018 წლის 31 დეკემბერს	1,573	3,866	5,558	143	8	2,073	190	13,411

ბიზნესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

798 ათასი ლარის ოდენობის ცვეთის ხარჯი დაეკისრა გაყიდული საქონლის თვითღირებულებას (2016: 1,071 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

2018 და 2017 წლის მდგომარეობით ქონებასა და აღჭურვილობის შემადგენლობაში იყო სრულად ამორტიზებული აქტივები, მთლიანი თანხის ოდენობით 3,201 ათასი ლარი და 3,947 ათასი ლარი.

კომპანიის მთელი ქონება გირაოშია ჩადებული უზრუნველყოფის სახით „ვითიზი“ ბანკის მიერ ნასესხები ფულადი სახსრებისთვის (შენიშვნა 17).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დაადგინა გაუფასურების მაჩვენებლები და შეასრულა გაუფასურების ტესტი. კომპანიამ განიხილა მთელი ძირითადი საშუალებები როგორც ერთი ფულადი სახსრების გამომმუშავებელი ერთეული და განსაზღვრა ანაზღაურებადი თანხა, გამოყენების ღირებულება, რომელიც შეადგენს 18.276 ათასს ლარს. ვინაიდან გამოყენების ღირებულება აღემატებოდა ქონების წმინდა საბალანსო ღირებულებას, გაუფასურება არ დაფიქსირებულა.

ანაზღაურებადი თანხის გაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი ვარაუდებია:

- ზრდა გაყიდვებში, ხარჯები 10%-ით 2020, 2021 და 2022 წლისთვის და 5% 2023 წლისთვის;
- წლიური კაპიტალური ხარჯები, რომელიც შეადგენს 1.2 მილიონ ლარს;
- კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება გამოყენებულ იქნა როგორც ფასდაკლების განაკვეთი, 12%.

სენსიტიურობის ანალიზი:

ფასდაკლების განაკვეთის ზრდამ 2 %-თ, გამოიწვია 15,043 ათასი ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც მაინც აღემატებოდა ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას.

გაყიდვებში 7% -ით ზრდამ 10%-ის ნაცვლად გამოიწვია 16,265 ათასი ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც მაინც აღემატებოდა ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას.

13. მარაგები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნედლეული და მასალები	2,605	2,404
მზა პროდუქცია	2,122	1,394
საქონელი გზაში	390	409
სხვა მარაგი	1,314	1,332
	6,431	5,539

მარაგების ღირებულებამ ხარჯად აღიარებულმა წლის განმავლობაში უწყვეტ ოპერაციებთან დაკავშირებით შეადგინა 22,366 ათასი ლარი (31 დეკემბერი 2017: 26,191 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

ანარიცხი ნელა მოძრავი მარაგისთვის წარმოადგენს 216 ათას ლარს და ნულს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

სხვა მარაგები წარმოადგენენ სათადარიგო ნაწილებს და მასალებს, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო მოთხოვნები	8,988	5,955
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,423)	(735)
წინასწარ გადახდები	195	374
	7,760	5,594

სავაჭრო მოთხოვნების ამოღებადობის განსაზღვრისას, კომპანია ითვალისწინებს ნებდსმიერ ცვლილებას სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხში კრედიტის საწყისი გაცემიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია არის შეზღუდული იმის გამო, რომ დამკვეთის ბაზა არის დიდი და არადაკავშირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნაშთი წლის დასაწყისში	735	570
გაუფასურების ხარჯი	763	606
გაუფასურების რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(75)	(441)
	1,423	735

	ვადა გადაცილება - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცი ლება	- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილ ება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილ ება	სულ
31 დეკემბერი 2018					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,953	803	298	934	8,988
დეფოლტისას მსდ არსებობის მანძილზე	(210)	(102)	(177)	(934)	(1,423)
	ვადა გადაცილება - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცი ლება	- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილ ება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილ ება	სულ
1 იანვარი 2018					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,711	427	280	537	5,955
დეფოლტისას მსდ არსებობის მანძილზე	(95)	(49)	(54)	(537)	(735)

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნაღდი ფული მცირე სალაროში	82	208
ნაღდი ფული ბანკებში	134	281
	216	489

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

16. სააქციო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
31 დეკემბერს გამოშვებული და სრულად გადახდილი	16,277	16,277
ნებადართული აქციების ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად ფასდება კომპანიის დარჩენილი აქტივების მიმართ.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები, როგორც დროდადრო გამოცხადებული, და ასევე აქვთ თითო ხმის უფლება თითო აქციაზე კომპანიის შეხვედრებზე.

17. აღებული სესხები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
არაუზრუნველყოფილი სესხები:		
- დაკავშირებული მხარეებიდან (i)	12,120	7,474
უზრუნველყოფილი სესხები:		
- საბანკო სესხები (ii)	22,067	22,558
	<u>34,187</u>	<u>30,032</u>
მიმდინარე	2,364	22,904
გრძელვადიანი	<u>31,823</u>	<u>7,128</u>
	<u>34,187</u>	<u>30,032</u>

- (i) კომპანიის დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები, Elsu Group. წელიწადში 6 % ეკისრება გადაუხდელი სესხის ნაშთს. ორი სესხის დაფარვის ვადა არის 2020 წლის მარტში, ხოლო მესამე ვადა არის 2021 წლის აგვისტოში.
- (ii) გადაუხდელი ნაშთი, გირაოთი უზრუნველყოფილი კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით 13,411 ათასი ლარი (იხილეთ შენიშვნა 12). საპროცენტო განაკვეთი საბანკო სესხებზე არის 7-დან 7.5 % მდე დაფარვის პერიოდით, რომელიც არ აღემატება 5 წელიწადს.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია ფინანსური და ნეგატიური შეზღუდვები, რომელსაც ითვალისწინებდა სასესხო ხელშეკრულება კომპანიასა და „ვითიზი“ ბანკს შორის. წლის დასასრულამდე კომპანიამ მიიღო უარის თქმის წერილი ბანკისგან, რომელიც ადასტურებდა, რომ მსესხებელი არ ითხოვდა სესხის დაჩქარებულ დაფარვას და სესხის პირობები არ შეცვლილა. შედეგად გრძელვადიანი ნაშთები არ იქნა გადაკლასიფიცირებული მოკლევადიანად.

ფინანსური საქმიანობით წარმოშობილი ვალდებულებების შედარება

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ცვლილებებს კომპანიის ვალდებულებებში, რომელიც გამომდინარეობს დაფინანსების საქმიანობიდან, როგორც ფულადი ასევე უნაღდოს ჩათვლით. დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები გულისხმობს იმ ვალდებულებებს, რომელთათვისაც ფულადი ნაკადი იყო, ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება, კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	1 იანვარი 2018	ფულადი ნაკადების დაფინანსება (i)	სხვა ცვლილებები(ii)	უნაღდო გადაცვლა უცხოური ვალუტის კურსის ზარალი	31 დეკემბერი 2018
სესხები	30,032	3,045	493	617	34,187
	30,032	3,045	493	617	34,187

- (i) ფულადი ნაკადები სესხებიდან, დაფინანსებიდან შეადგენს შემოსავლის ნეტო თანხას სესხებიდან და სესხების დაფარვას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
- (ii) სხვა ცვლილებებში შედის პროცენტის დარიცხვა და გადახდები.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო ვალდებულებები	9,493	7,606
საგადასახადო ვალდებულებები, გარდა საშემოსავლოსა	507	554
გადასახდელი ხელფასები	347	216
	10,347	8,376

გარკვეული საქონლის შიდა შესყიდვების საშუალო საკრედიტო პერიოდი არის 1-3 თვე.

კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა სამუშაო ადგილზე, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელის გადახდა წინასწარ შეთანხმებული საკრედიტო პირობების შესაბამისად.

კომპანიის მიერ ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის საფრთხის წინაშე ყოფნა, რომელიც უკავშირდება ვაჭრობას და სხვა გადასახდელს განმარტებულია შენიშვნა 20-ში.

19. საიჯარო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	503	114
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	574	182
სულ საიჯარო ვალდებულება	1,077	296

	იჯარის მინიმალური გადასახადები		მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება	
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დასაფარი ერთ წელიწადში	590	150	503	114
დასაფარი ერთიდან 5				
წლამდე	638	222	574	182
დასაფარი 5 წლის შემდეგ	-	-	-	-
	1,228	372	1,077	296
გამოკლებული: მომავალი ფინანსური ხარჯები	(151)	(76)	N/A	N/A
მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება	1,077	296	1,077	296

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 კაპიტალის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეურნეო ერთეულები კომპანიაში შეძლებენ გააგრძელონ უწყვეტი მუშაობა, ხოლო აქციონერებისთვის მოხდეს შემოსავლის მაქსიმიზაცია ვალის და კაპიტალის ნაშთის ოპტიმიზაციით. კომპანიის მთლიანი სტრატეგია რჩება უცვლელი 2014 წლიდან.

კომპანიის კაპიტალის მოიცავს წმინდა ვალდებულებებს (სესხები, როგორც დეტალურადაა აღწერილი 17-ე შენიშვნაში ურთიერთგადაფარული ნაღდი ფულით და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალს (გამოშვებული კაპიტალის, ისე როგორც აღწერილია მე-16 შენიშვნაში და დაგროვებული ზარალის ჩათვლით). კომპანია არ ექვემდებარება რაიმე რეგულაციებს კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
აღებული სესხები	34,187	30,032
ფული და ფულის ექვივალენტები	(216)	(489)
წმინდა ვალი	33,971	29,543
კაპიტალი	(17,623)	(15,035)
წმინდა დავალიანება კაპიტალის თანაფარდობის მიმართ	(193)%	(196)%

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფინანსური ვალდებულებები		
ფული და ფულის ექვივალენტები	216	489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,760	5,594
ფინანსური ვალდებულებები		
აღებული სესხები	34,187	30,032
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,347	8,376
საიჯარო ვალდებულება	1,077	296

20.3 საბაზრო რისკი

კომპანიის აქტივობები ძირითადად ფინანსური რისკის წინაშე დგანან, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (იხილეთ შენიშვნა 20.4 ქვემოთ) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან (იხილეთ შენიშვნა 20.5 ქვემოთ). კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს რათა მართოს უცხოური ვალუტის და საპროცენტო რისკის საფრთხეები.

20.4 უცხოური ვალუტის რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში; შესაბამისად, საფრთხეები წარმოიშობა, სავალუტო განაკვეთების არამდგრადობის მიმართ;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

(ათასობით ქართულ ლარში)

კომპანიის ფულადი აქტივების და ფულადი ვალდებულებების დენომინირებული უცხოური ვალუტის საბალანსო ღირებულება, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის შემდეგი:

	ვალდებულებები		აქტივები	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
აშშ დოლარი	26,431	19,373	3,369	1,541
ევრო	14,192	17,000	-	61

კომპანია ძირითადად ატარებს სავალუტო რისკს დაკავშირებულს აშშ დოლართან და ევროსთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის მიმართ ფუნქციონალური ვალუტის გაძლიერებაზე / შესუსტებაზე 15% -ით, 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი გამოყენებულია ფულად საშუალებებზე საანგარიშგებო პერიოდის დროს, რომელიც დენომინირებულია შესაბამის ვალუტაში.

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მოგება ან ზარალი	3,459	2,675	2,129	2,541

20.5 საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობდა მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

20.6 საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი გულისხმობს დამკვეთის მიერ ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობას კომპანიის მიმართ, რაც გამოიწვევს კომპანიისთვის ფინანსურ ზარალს. კომპანია დგას საკრედიტო რისკების წინაშე მისი საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) გამომდინარე, საბანკო ანგარიშების და დაკავშირებული მხარეების, უცხოური ვალუტის ოპერაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისთვის შეზღუდულია, რადგან ბანკები არიან კონტრაგენტები, რომელთაც აქვთ დადებითი საკრედიტო რეიტინგი.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დანაკარგების რეზერვს აფასებს არსებობის მანძილზე მსდ-ის ტოლი თანხით. სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილების, დაფარვამდე დარჩენილი დღეების ანალიზისა და დასაფარ ნაშთებზე საბანკო გარანტიების საშუალებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტით გამოწვეულ ზარალზე და დეფოლტის რისკით. დეფოლტის რისკის გამოსათვლელად (PD) არავადაგადაცილებული ნაშთებისთვის კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ წარმოებულ კვლევას. კომპანიამ შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო რისკები, რომელსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა. ვადაგადაცილებული ნაშთებისთვის კომპანია იყენებს მოთხოვნების დაფარვის წარსულ გამოცდილებას.

თბილისი ქვემო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 10 უმსხვილესი მომხმარებლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გადაუხდელობის ნაშთი შეადგენს 62 % და 68%.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საკრედიტო რისკის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა, რომელიც არის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, უზუნველყოფების გათვალისწინებით.

	მაქსიმალური ზემოქმედება	
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	216	489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,565	5,220

20.7 ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში დეტალურადაა აღწერილი კომპანიის მოსალოდნელი დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური აქტივების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, პროცენტის ჩათვლით, რომელიც გამომუშავდება იმ აქტივებზე. არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებზე ინფორმაციის ჩართვა არის აუცილებელი, კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის გასაგებად, ვინაიდან ლიკვიდურობა იმართება ნეტო აქტივების და ვალდებულებების საფუძველზე.

	1 თვეზე ნაკლები	1-თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-წლიდან 5 წლამდე	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2018						
უპროცენტო	10,347	-	-	-	-	10,347
პროცენტიანი	190	1,130	1,831	31,398	6,309	40,858
	<u>10,537</u>	<u>1,130</u>	<u>1,831</u>	<u>31,398</u>	<u>6,309</u>	<u>51,205</u>
31 დეკემბერი 2017						
უპროცენტო	8,376	-	-	-	-	8,376
პროცენტიანი	1,055	298	2,782	23,418	9,010	36,563
	<u>9,431</u>	<u>298</u>	<u>2,782</u>	<u>23,418</u>	<u>9,010</u>	<u>44,939</u>

20.8 რეალური ღირებულების შეფასებები

ეს შენიშვნა განმარტავს ინფორმაციას, იმის შესახებ თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია სხვადასხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ ფასდება რეალური ღირებულებებით, მაგრამ რომელთათვისაც რეალური ღირებულება განმარტებულია. რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების დონეების მიხედვით და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებებით:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	რეალური ღირებულების იერარქია 31 დეკემბერი 2018 წლის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	7,760	7,760
ფული და ფულის ექვივალენტები	216	-	-	216
სულ	216	-	7,760	7,976
ფინანსური ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	34,187	-	34,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	10,347	10,347
საიჯარო ვალდებულებები	-	1,077	-	1,077
სულ	-	35,264	10,347	45,611

	რეალური ღირებულების იერარქია 31 დეკემბრის 2017 წლის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	5,180	5,180
ფული და ფულის ექვივალენტები	489	-	-	489
სულ	489	-	5,180	5,669
ფინანსური ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	30,033	-	30,033
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	8,376	8,376
საიჯარო ვალდებულებები	-	296	-	296
სულ	-	30,329	8,376	38,705

ზემოთ ჩამოთვლილი 2 და 3 დონის კატეგორიებში შეტანილი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები განისაზღვრა ზოგადად მირებული ფასწარმოქმნის მოდელების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზზე, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად ითვლება ფასდაკლების განაკვეთი, რომელიც ასახავს კონტრაგენტების საკრედიტო რისკს.

21. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს, მფლობელებს, აფილირებულ პირებს და სამეურნეო ერთეულებს, რომლებიც იმყოფებიან ერთობლივი ფლობის და კონტროლის ქვეშ კომპანიასთან და ძირითადი მართვის პერსონალის წევრებთან.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ გარიგებები, რომელიც არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება განხორციელდეს იგივე პირობებითა და ვადებით, როგორც ოპერაციები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება მიმართულია ურთიერთობის მდგომარეობაზე, და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

იხილეთ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2018				
მშობელი	სუბიექტები		სხვა	სულ
	საერთო	კონტროლის ქვეშ		
აღებული სესხები	12,120	-	-	12,120
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	71	-	71
შემოსავალი	-	1,178	-	1,178
სავაჭრო საქონელის შეძენა	443	443	-	443

31 დეკემბერი 2017				
მშობელი	სამეურნეო		სხვა	სულ
	ერთეულები	კონტროლის ქვეშ		
აღებული სესხები	7,474	-	-	7,474
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	703	-	703
შემოსავალი	-	1,284	-	1,284
სავაჭრო საქონელის შეძენა	-	738	-	738

ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის ანაზღაურება, რომელიც მოკლევადიანი თანამშრომლის პრივილეგიებით არის წარმოდგენილი, 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, 920 ათასი ლარი და 1,091 ათასი ლარი იყო.

22. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მატერიალური ვალდებულებები დასაფარი არ ჰქონია.

სასამართლო დავები - დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის მიმართ საჩივრები იქნას მიღებული. საკუთარი შეფასებებისა და როგორც შიდა, ასევე გარედან მიღებული პროფესიონალური რჩევების საფუძველზე, მენეჯმენტი თვლის, რომ რაიმე არსებითი დაუზიანებელი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები ხშირად მოწმდება და ექვემდებარება გამოძიებას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან, რომელთაც შეუძლიათ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დარიცხვა. წლიური ანგარიშები შემოწმებისათვის ღიაა ოთხი კალენდარული წლის განმავლობაში. თუმცა, გარკვეულ ვითარებაში, უფრო დიდი ხნის ვადითაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ბევრ ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა 2017 წლის 21 თებერვალს გამოსცა ბრძანება #4187 კომპანიის მიმართ და კომპანიის ფინანსური ინფორმაციის საგადასახადო აუდიტი შესრულდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით პერიოდისთვის. ამ ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღისთვის ეს პერიოდები დახურულია მომავალი განხილვისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

სამუშაო გარემო - კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველო აჩვენებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციას და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხელს უწყობს გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგანან საქართველოში მოქმედი კომპანიები.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად. სუვერენული სესხის საერთაშორისო კრიზისმა, საფონდო ბირჟის ცვალებადობამ და სხვა რისკებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს საფინანსო და კორპორატიულ სექტორებზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რაც მეტწილად ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ 2016 და 2017 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაიკვლია, უფრო მეტია მოსალოდნელი, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს საშოქმედო გეგმა განაგრძობს განვითარებას.

მენეჯმენტმა განსაზღვრა გაუფასურების ანარიცხები ეკონომიკური სიტუაციის და პერსპექტივის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანარიცხები განისაზღვრება „გაწეული ზარალის“ მოდელის გამოყენებით, რომელიც მოთხოვნილია მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით. ეს სტანდარტები ითხოვენ გაუფასურების ზარალის აღიარებას სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რომელიც წარმოიშობა წარსული მოვლენებიდან და კრძალავს გაუფასურების ზარალის აღიარებას, რომელიც მომდინარეობს მომავალი მოვლენებიდან, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად სავარაუდოა ეს მომავალი მოვლენები. მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური ხარჯის ვალდებულებები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო ოთხი გრძელვადიანი სესხი მშობელი ორგანიზაციისგან სულ 1,000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობით კაპიტალური ინვესტიციისთვის მაცივრებსა და ახალი პროდუქტის ხაზების განვითარებაში. ყველა სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში და გააჩნია 6.5 %-იან წლიურ საპროცენტო განაკვეთი.

2019 წლის ნოემბერში კომპანიამ ჩაუშვა ახალი პროდუქტი „მირინდა-მარწყვის-ლიჩის არომატით“.

2019 ნოემბერში კომპანიამ დანიშნა ახალი მმართველი დირექტორი ირაკლი ახვლედიანი.

იოიო ქვეთა

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში, მისი რეგისტრაციის მისამართია: 0109 თეთრი ხევი ჰესი, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზიარებული გამაგრილებელი სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo, Inc-სთან გაფორმებული ფრანშიზის ხელშეკრულების თანახმად. გარდა ამისა, კომპანია წარმოადგენს PepsiCo, Inc-ის რამდენიმე პროდუქტის იმპორტიორს. კომპანია პროდუქტების რეალიზაციას ახდენს საქართველოს მასშტაბით, საკუთარი სადისტრიბუციო არხები.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ აწარმოებს და ანაწილებს შემდეგ PepsiCo-სა და საკუთარ პროდუქტებს: პეპსი, პეპსი შავი, პეპსი შავი ლაიმი, მირინდა ფორთოხალი, მირინდა ვაშლი, Mirinda Seasonal In & Outs, 7UP, აქუაფინა ლიმონი, ლიფტონის ცივი ჩაი, Fruktoviy Sad, Iberia Fizzy Ice Tea, იბერია ლიმონათი, Maxx Power ენერგეტიკული სასმელი. სულ 110 SKUs (შესანახი ერთეული).

წარმოების პროცესი მიმდინარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქარხანაში. წარმოების მოცულობა აკმაყოფილებს კომპანიის მიმდინარე გაყიდვების საჭიროებებს და შესაძლებლობას მომდევნო 2 წლის განმავლობაში მაინც.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის კომპანიას ჰყავდა 307 და 289 თანამშრომელი, შესაბამისად.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის გამოშვებულ აქციებს:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შპს ELSU Inc.	84.90%	84.90%
ალშაფარ აჰმად აბდულა ალი	15.10%	15.10%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის 84.90% აქციონერი არის შპს ELSU Inc., მშობელი კომპანია, რომელიც თავის მხრივ არის კონტროლირებული ინვესტორთა კორპორაციუმის მიერ სარქისიანების ოჯახის ხელმძღვანელობით, როგორც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

განვითარების გეგმები

კომპანიას გააჩნია ხედვა, რომ გახდეს ყველაზე სწრაფად მზარდი კონკურენტი ქართული არა-ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე, უფრო დიდი და ძლიერი ბიზნესის განვითარებით, რათა 2020 წლის ბოლომდე იყოს თავდაჯერებული, გაზარდოს მომხმარებლები ღირებულების შექმნით, განსხვავების შეტანით, მხიარული მომენტების შთაგონებით, ბედნიერებითა და ოპტიმიზმით.

კომპანია ცდილობს:

- ხარისხი – მიაწოდოს მაღალი ხარისხის პროდუქტები და გაზარდოს ბრენდის პორტფელი, რომელიც ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს აკმაყოფილებს;
- მომხმარებლის კმაყოფილების დონე – წარუდგინოს მაღალი ხარისხის მომსახურება მომხმარებლებს და გაზარდოს ის გადამწყვეტი ნაწილი კომპანიის ზრდის სტრატეგიაში;
- თანამშრომლები – დაასაქმოს, განვითაროს და შეინარჩუნოს უდიდესი ნიჭის მქონე თანამშრომლები კომპანიის მომავალ ლიდერებად;
- თანამშრომლობა – მუდმივად გაზარდოს გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა ჩვენს ხალხს შორის;
- იმოქმედონ როგორც მფლობელებმა – დაგეგმონ, იმოქმედონ, აიღონ პასუხისმგებლობა და იყონ პასუხისმგებელნი ჩვენი პატრონების წინაშე.

ნიმუხი

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დისტრიბუციის წერტილები

კომპანიას აქვს დისტრიბუციის წერტილები საქართველოს 4 რეგიონში, კერძოდ: აჭარის, კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. თბილისში წარმოებული მზა საქონელი ტრანსპორტირდება რეგიონალურ საწყობებში და შემდეგ ნაწილდება მაღაზიებში.

ადგილობრივი განაწილების გარდა, კომპანია აწარმოებს მინის ექსპორტს და თუნუქის ქილით პროდუქციის გატანას სომხეთსა და აზერბაიჯანში.

წარმოების საშუალებები

კომპანია ინარჩუნებს პროდუქტის ხარისხს PepsiCo, Inc. რეგულაციების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად. თითქმის 20 წლის არსებობის განმავლობაში, არასოდეს გამოთქმულა პრეტენზიები პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით როგორც PepsiCo-დან ასევე არც საქართველოს მარეგულირებელი მხარეებიდან.

პროდუქციის მაღალი ხარისხის დაცვა მიიღწევა შიდა პროფესიული რესურსების მუდმივი ზედამხედველობით, აგრეთვე მნიშვნელოვანი ინვესტიციებით საწარმოო ხაზებსა და პერსონალის ტრენინგებში. კომპანია რეგულარულად ახორციელებს რემონტებს წარმოების ხაზებში, რომელიც უზრუნველყოფს მანქანა დანადგარების შუფერხებელ მუშაობას.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ ფლობს შემდეგ სერთიფიკატებს:

1. AIB 910/1000
2. AIB 920/1000
3. ISO 22000:2005
4. ISO 11001-1:2009
5. FSSC 22000
6. QAS PepsiCo audit 2018: 99.12%
7. Global 3D Quality Score: Plant Quality 2017 BLUE

ფინანსური შედეგები

კომპანიამ დაკარგა შპს „Sah & Co“ როგორც სახელშეკრულებო პარტნიორი 2017 წლის ნოემბერში, მნიშვნელოვანი წვლილის შემომტანი შემოსავლების სამიზნის მაჩვენებლებში. იმისთვის, რომ შპს Sah & Co-ს დანაკარგის კომპენსირება მომხდარიყო (ენერგეტიკულმა სასმელებმა 'Boom fire' და 'Boom best') კომპანიამ შეიმუშავა ახალი ენერგეტიკული სასმელი და ჩაუშვა 2018 წლის აპრილში. კომპანიამ ასევე განახორციელა დამატებითი ძალისხმევა პეპსის ძირითადი ბიზნესი გასაზრდელად 2018. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 2018 წელს კომპანიამ წარმატებით მოახერხა ჩაენაცვლებინა წმინდა გაყიდვები და მარჟა, წარმოშობილი ადრე შპს Sah & Co-ს ბიზნესიდან. 2018 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, კომპანიამ მოახერხა პეპსის ძირითადი პროდუქტების გაყიდვების გაზრდა 35 %-ით 38 მილიონ ლარამდე.

მენეჯმენტის გუნდის ცვლილების შემდეგ 2016 წლის შუა პერიოდებში, კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც ლიტრებით ასევე გაყიდული რაოდენობით გასული 4 წლის განმავლობაში.

კომპანიის გაყიდვების შემოსავლები ასევე სტაბილურად იზრდება:

	2018	2017	2016	2018 vs 2017	2017 vs 2016
ძირითადი ბიზნესი	37,730	28,038	23,157	35%	21%
სახელშეკრულებო (შეფუთვა)	-	12,661	12,796	0%	(1%)
სულ	37,730	40,699	35,953	(4%)	13%

ახალი მენეჯმენტის დაქვემდებარებაში, კომპანიის დარეგულირებული EBITDA (მოგება, პროცენტებამდე, დაბეგვრამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე) მუდმივად უმჯობესდებოდა. 2018 წლის განმავლობაში დარეგულირებული EBITDA გაიზარდა ~300 ათასი ლარით 2017 წელთან შედარებით.

იხილეთ

ხელმძღვანელობის ანგარიში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის წმინდა მოგებაზე ძლიერ იმოქმედა FOREX-ის არამდგრადობამ, იმ ფაქტის გამო რომ თითქმის ყველა ბანკის და აქციონერის სესხები არის უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა, ნედლი მასალის უმეტესობა იმპორტირებულია. კომპანიას ჰქონდა დადებითი სამუშაო კაპიტალი 1,193 ათასი ლარის ოდენობით, დაგროვილი ზარალი 33,900 ათასი ლარი და უარყოფითი წმინდა აქტივები 17,623 ათასი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გაწია პერიოდული დანაკარგები საქიანობებიდან 2018 და 2017 წლებში, 2,588 ათასი ლარისა და 1,942 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წელს შპს ELSU Inc.- ს მიერ სს „იბერია რეფრემენტსი“ 84.9% -იანი წილის კონსოლიდაციის შემდეგ, მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს ცვლილების სტრატეგიას კომპანიის საქმიანობის შედეგის გასაუმჯობესებლად და მისი მომგებიანობის და მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

2016 წლიდან კომპანიამ წარადგინა ახალი პროდუქტები ბაზარზე გასაყიდად: 0.25 პატარა ბოთლი, მირინდა საზამთრო, პეპსი შავი (უშაქრო), მირინდა ანასასი, პეპსი ლაიმი (უშაქრო), ლიმონათი „იბერია“ ახალი არომატები, იბერია ცივი ჩაი, ენერგეტიკული სასმელი Maxx Power. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა არსებითი საკაპიტალო ინვესტიცია ვაჭრობის ინფრასტრუქტურაში, ვაჭრობის ინსტრუმენტებში, წარმოებასა და ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურაში.

კომპანია საჭიროებდა ფულად ინვესტიციებს აქციონერებისგან, მის მიერ განხორციელებული სწრაფი გაყიდვების და არხების განაწილების ხელშესაწყობად, სადაც ორგანიზებული ვაჭრობა წინა წლებთან შედარებით უფრო მძლავრი ხდება. ბევრი ახალი ორგანიზებული ვაჭრობის კლიენტთა (ორგანიზებული ვაჭრობა (/OT) - კლიენტები ბევრი მაღაზიით ერთი და იმავე იურიდიული პირის სახელით) მოზიდვა ითხოვს უფრო და უფრო მეტ ინვესტიციას ვაჭრობაში, მაგ.: ფასდაკლებები და რეტრო ბონუსები. ხარჯების გარდა, „OT“ მოითხოვს მეტ საკრედიტო ვადებს, მაშინ როცა ტრადიციული ვაჭრობის არხის კლიენტები უმეტესად მუშაობენ ნაღდ ფულზე. ამიტომაც, ყველა ზემოთ აღნიშნულ გარემოებას მოაქვს კომპანიისთვის გამორჩეულად დიდი გაყიდვები, ხოლო მომხმარებლისგან თანხის ამოღებას სჭირდება უფრო მეტი დრო ვიდრე წინა წლებში.

ორგანიზაციული ვაჭრობის არხი ასევე მოითხოვს მეტ საწყობს მაღაზიის ზომის გამო, რომელსაც თავის მხრივ სჭირდება ნედლეულისა და დასრულებული საქონლისთვის დიდი ზომის საწყობი კომპანიის დაწესებულებაში. ეს ასევე უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო კაპიტალის თვალსაზრისით.

რისკები და გაურკვევლობები

ლიკვიდურობის რისკი – სწრაფი ზრდა მოითხოვს უფრო მეტ ინვესტიციას სავაჭრო მარკეტინგში და სავაჭრო ინფრასტრუქტურაში, რომელიც თავის მხრივ აყენებს კომპანიას ლიკვიდურობის მოთხოვნების წინაშე.

რისკის დასაფარად მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს და ანახლებს პროდუქტიულობის და ეფექტურობის პროცესებსა და პროცედურებს ბიზნეს ციკლის ყველა ბიზნეს აქტივობაში: წარმოება, გაყიდვები, დისტრიბუცია, ზოგადი მართვა, საკრედიტო კონტროლი, ფულადის ახსრების მართვა.

შესაძლებლობების შეზღუდვა – FMCG პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდასთან ერთად (პროდუქტები, რომელიც იყიდება სწრაფად და დაბალ ფასად), აუცილებელია წარმოების ხაზების განახლება, პროდუქციის დეფიციტის მარაგის გარეშე დარჩენის თავიდან ასაცილებლად.

ყოველწლიურად კომპანია ინვესტირებს ახორციელებს CAPEX- ში კაპიტალური ხარჯების წარმოებაში, რათა შეასრულოს წარმოების ხაზების რემონტები, რაც შედეგად იწვევს უფრო მაღალ შესაძლებლობებს. კომპანიის შეფასებით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში მას ახალი საწარმოო ხაზების ინვესტიცია დასჭირდება, რათა შესაძლებლობები შეინარჩუნოს ბაზრის პოზიციის დონეზე და აქციონერები სრულად უჭერენ მხარს ამ მიდგომას. დატვირთული სეზონის განმავლობაში შესაძლებლობების დროებითი შეზღუდვა შეიძლება მოხდეს, რომელიც შეიძლება დაიფაროს სახელშეკრულებო-შეფუთვით მისი დაკავშირებული მხარეებიდან სომხეთში, რომელსაც გააჩნია უფრო მეტი მარაგი წარმოებაში.

2016 წლიდან აქციონერებმა მოახდინეს მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის ინვესტირება სესხების საშუალებით, რომელიც ძირითადად გამოყენებულ იქნა სამუშაო კაპიტალის და კაპიტალური ხარჯების საჭიროებების დასაფინანსებლად მაგ. წარმოების ხაზის შენარჩუნება, სავაჭრო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო საშუალებები. კონკურენტუნარიანი პოზიციის შესანარჩუნებლად ქართულ ბაზარზე და გასაფართოებლად, კომპანიამ შეიძინა მნიშვნელოვანი რაოდენობით მაცივრები 2016 წლიდან, რომლებიც განთავსდა სხვადასხვა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მაღაზიებში მთელ საქართველოში. 2019 წელს კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების გაგრძელებას მაგიურებში და წარმოების შესაძლებლობებში, ბაზრის გაფართოების მხარდასაჭერად.

კომპანიამ ასევე შეიძინა 15 ახალი სატვირთო მანქანა მიწოდებისთვის 2017 და 2018 წლებში, განაწილების ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების მიზნით (სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება, საწვავის ეფექტური გამოყენება, მიწოდების მწარმოებლურობა).

ვალუტის რისკი - რადგან შპს პროდუქციის ნედლეულის უმეტესი ნაწილი იმპორტირდება, რის შედეგადაც უცხოური ვალუტის კურსი დიდ როლს ასრულებს გაყიდვული საქონლის ღირებულების ფორმირებაში, შესაბამისად, ქმნის დატვირთვას კომპანიის მოგებიანობაზე. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია სესხები უცხოურ ვალუტაში, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რომელიც დამატებით წნეხს უქმნის კომპანიის მოგებიანობას.

მენეჯმენტი გეგმავს ამ რისკის მოგვარებას ახალი ფასების სტრატეგიებით, მაგრამ შეფერხებით, იმის გამო, რომ ის ხდება თავისი უფრო ძლიერი კონკურენტის საფასო მიმდევარი. კომპანია ასევე რეგულარულად განახორციელებს ეფექტურობის გაზრდის ძებნას მიწოდების ქსელში და შესყიდვაში, რათა შეამცირონ ფინანსური ვალუტის რისკები იმპორტიდან.

FMCG ბაზარზე OT არხის წილის ზრდა – OT მომხმარებლები ითხოვენ უფრო მეტ ინვესტიციას ვაჭრობაში ტრადიციული ვაჭრობის (TT) მომხმარებლებთან შედარებით. OT მომხმარებლებს აქვთ უფლება მოითხოვონ უფრო მეტი ფასდაკლება, რადგანაც მათ აქვთ ბევრი მაღაზიები და წარმოდგენილი პროდუქტების გაყიდვას მოაქვს მეტად მაღალი მოცულობა, ვიდრე TT-ში. გარდა ამისა, რადგანაც OT ხდება უფრო და უფრო მოხერხებული მომხმარებლებისთვის, TT -ს პოპულარობა ეცემა თანდათანობით, რაც იწვევს პატარა მაღაზიების უფრო მოწყვლადობას ამ ცვლილებებისადმი. შედეგად, TT-ში კომპანიის პროდუქტების გაყიდვა ხდება უფრო და უფრო რთული.

რამდენადაც, კომპანიის ზრდის გეგმა არის OT-გაყიდვების გაზრდა, მენეჯმენტმა მხარი დაუჭირა სტრატეგიას OT-გაყიდვების არხების დაფინანსების გაზრდით. გარდა ამისა, კომპანია რეგულარულად ადევნებს თვალს ბაზრის ტენდენციებს, OT-სთვის, ასევე TT- არხებისთვის მიწოდებასა და ლოჯისტიკაში ეფექტურობის შეთავაზებით.

სამომავლო პერსპექტივები

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აქციონერების და ძლიერი მშობელი კომპანიის სრული მხარდაჭერით, სს „იბერია რეფრეშმენტსი“ გააგრძელებს მის საქმიანობას და ზრდას მომდევნო წლებში, ახალი პროდუქტების, სტრატეგიების და საწარმო ობიექტების უწყვეტი წარდგენით.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

დანართი „ა“ - არააუდირებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათასობით ქართულ ლარში)

დანართი „ა“ - არააუდირებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები

წინამდებარე დანართი „ა“ შეიცავს ინფორმაციას მოგებას საპროცენტო ხარჯის, გადასახადების და ცვეთა და ამორტიზაციის გამოკლებით (EBITDA-ს) შესახებ და დარეგულირებულ EBITDA-ს როგორც ქვემოთაა მოცემული. ეს დანართი არ წარმოადგენს აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

ჩვენი საანგარიშო ფინანსური შედეგები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“), როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია, მიღებული ჩვენი საანგარიშო ფინანსური შედეგებისგან, მაგრამ იგი არ არის მოთხოვნილი ფასს-ს მიერ და ითვლება არააუდირებულ არა-საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების კრიტერიუმებად.

დირექტორები თვლიან, რომ EBITDA და დარეგულირებული EBITDA წარუდგენენ დამატებით სასარგებლო ინფორმაციას აქციონერებს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. ეს კრიტერიუმები არ არის განსაზღვრული ფასს-ით და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს პირდაპირ შედარებული სხვა კომპანიების NON-GAAP კრიტერიუმებთან. ეს კრიტერიუმები არ არის გათვალისწინებული, შეცვლისთვის ან უპირატესობის მინიჭებისთვის ფასს-ის კრიტერიუმების მიმართ. წარმოდგენილი არააუდირებული არა-საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (Non-GAAP) კრიტერიუმები თანხვედრაშია უახლოესი ფინანსური ანგარიშგების ხაზთან, რაც ნიშნავს მოგებას საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე. EBITDA და დარეგულირებული EBITDA-ს გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

	2018, არააუდირებული	2017, არააუდირებული
ზარალი დაბეგრამდე	(2,588)	(1,942)
საპროცენტო ხარჯი	2,408	2,078
ცვეთა და ამორტიზაცია	1,819	1,535
EBITDA	1,639	1,671
უცხური ვალუტის გადაცვლის ზარალი მიღებული სესხებიდან	617	1,387
უცხური ვალუტის გადაცვლის ზარალი სესხების გამორიცხვით	875	249
ანარიცხიდ საფაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის	688	169
კორექტირებები საგადასახადო ხარჯებში*	-	56
დარეგულირებული EBITDA	3,819	3,532

* 2017 წელს აღიარებული საგადასახადო ხარჯები, ეხება 2014-2016 წლებში საგადასახადო ორგანოების მიერ, ჩატარებული საგადასახადო აუდიტის შედეგად დარიცხულ დამატებით გადასახადებს. მენეჯმენტმა გადაწყვიტა ასახოს ეს ხარჯები შესაბამის პერიოდში დარეგულირებული EBITDA გაანგარიშებისთვის.

N200327172



10.06.2020 წ

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

დარეჯან ახალბედაშვილი

ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.

591706628

41022388440520



მე, მთარგმნელი დარეჯან ახალბედაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე ქ. თბილისი, მტკვარის ქ. #6, სართული 1, ვამოწმებ ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია მთარგმნელის ქ-ნო ნინო კვლიძის (დაბ: 31.05.1976წ. თბილისში, პირადი # 01017001006, მცხ მისივე განცხადებით: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N 3, ბ. 15, დიპლომი #00025, გაცემული კემბრიჯ-ცენტრის მიერ). ხელმოწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია.

მე, მთარგმნელი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ და ქართულ ენებს, თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. N507 დადგენილებისა

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა

პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდებიდან ის წესი და და მომსახურების

ვადები აქედან - მ. 31.3 -92,00 ლ, + დღგ -16,56 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო

კოდექსის 169 მუხლისა, + მ. 39.1 - 2.00 ლარი.

I, Notary Darejan Akhalbedashvili, in my notary bureau, located at the following address: Tbilisi, Mtkvari str. N 6, 1st floor, attest the reality of signature of translator by Nino Kvliidze (personal N: 01017001006, born on 31.05.1976., residing at her declared address: kostava str. N 3, Apt. 15, Diploma № 00025, issued by The Cambridge-Centre in 2011). The identity of the signatory is established; the capability and the reality of the expressed will are checked. I warned the translator about responsibility caused by the incorrect translation. The translator confirmed that she knows English and Georgian languages properly; the translation is correct and signed it in my presence. The identity of the signatory is established, the capability and the reality of the expressed will is checked.

The notary tari - 92,00 GEL is paid in accordance with the article 31.3 of Georgian government by resolution № 507 of "The payment for the Notary acts and fixed payment, their payment order and service dates for Georgian Notary Chamber" dated 29.12.2011, + VAT- 16,56 GEL is paid in accordance with the article 169, of the Tax Code of Georgia, + article 39.1 - 2.00 GEL.

თარჯიმნის საკონტაქტო ნომერი: 599 55 49 24

Telephone number of the translator: 599 55 49 24

ნოტარიუსი: დარეჯან ახალბედაშვილი

Notary: Darejan Akhalbedashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეჯან ახალბედაშვილს: +995(32) 2 66 19 18

შეკერილია

9/11/2020

~~ფურცლად~~
ნოტარიუსი:



სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

სარჩევი

გვერდი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

2-5

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

7

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

10-39

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) გამოყენება	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	15
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები	24
5. შეცდომათა გასწორება	25
6. შემოსავლები	26
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
8. გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	26
9. ადმინისტრაციული ხარჯები	27
10. წმინდა ფინანსური ხარჯები	27
11. უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	27
12. ძირითადი საშუალებები	29
13. მარაგები	30
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31
15. ფული და ფულის ექვივალენტები	31
16. სააქციო კაპიტალი	32
17. აღებული სესხები	32
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
19. საიჯარო ვალდებულება	33
20. ფინანსური ინსტრუმენტები	34
21. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	37
22. პირობითი ვალდებულებები	38
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39

ხელმძღვანელობის ანგარიში

40

დანართი „ა“ - არააუდიტირებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები

44

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „იბერია რეფრეშმენტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და ცვლილებას სააქციო კაპიტალში ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშში ინფორმაციის განმარტებაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-თან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 იანვარს:

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
21 იანვარი 2020 წელი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
21 იანვარი 2020 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „იბერია რეფრეშმენტსი“-ს აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „იბერია რეფრეშმენტსი“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით შეგვემოწმებინა მაცივრების არსებობა, რომელიც შესულია ძირითადი საშუალებების მანქანა დანადგარების და მოწყობილობების კატეგორიაში, საბალანსო ღირებულებით 1,710 ათასი ლარი და 2,620 ათასი ლარი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მანქანა დანადგარების და აღჭურვილობის შემადგენლობაში შემავალი მაცივრებისთვის, სრული რეესტრის და უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრების არ არსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით მათზე დაკვირვება ან ალტერნატიული პროცედურებით დარწმუნება მათ არსებობაში. შესაბამისად, ვერც მათთან დაკავშირებული გავლენის განსაზღვრა ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებზე, ასევე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე.

ვინაიდან ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის განმავლობაში, ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ აუცილებელი იყო თუ არა ოპერაციების შედეგებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება 2017 წლისთვის. შესაბამისად, ჩვენ გამოვთქვით პირობითი აუდიტის მოსაზრება კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ზემოთ ნახსენები მოვლენის მიმდინარე წლის შედეგების შესადარის მონაცემებზე შესაძლო ეფექტიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება ასევე იქნა მოდიფიცირებული 2018 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები პირობითი მოსაზრების გამოსახატავად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, იმ დაშვებით რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობას. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 3-ში, კომპანია იმყოფება ზარალზე და ვერ წარმოქმნა დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. აღნიშნული მოვლენა, სხვა საკითხებთან ერთად, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 3-ში, აჩვენებს რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის შესაძლებლობაზე გააგრძელოს უწყვეტი ფუნქციონირება. ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 3-ში, ასევე განხილულია ხელმძღვანელობის გეგმები ამ საკითხებთან დაკავშირებით. თანდართული ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს რაიმე შესწორებებს, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული ამ გაურკვევლობის შედეგებიდან გამომდინარე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და დანართ „ა“-ში მოცემულ არააუდიტირებული, არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (Non-GAAP) საზომს.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და დანართ „ა“-ში მოცემულ არააუდიტირებულ დამატებით ინფორმაციას და ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ, რაიმე ფორმის რწმუნებას. ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული ინფორმაციის წაკითხვა და შემოწმება მოცემული ინფორმაცია არსებითად არის თუ არა შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან ან სხვაგვარად აღმოჩენა რომ წარმოადგენს არსებითად უზუსტობას.

თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით რომ ამ ინფორმაციის არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ ავღნიშნოთ ეს ფაქტი. როგორც აღწერილია „პირობითი დასკვნის საფუძვლების“ ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა მანქანა დანადგარების და აღჭურვილობების ჯგუფში შემავალი მაცივრების საბალანსო ღირებულების სათანადო მტკიცებულების მოპოვება 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მარაგების ნაშთების 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, ზემოთხსენებული მოვლენების ეფექტი ასევე ვერ იქნა განსაზღვრული მოგება-ზარალის და სრულ შემოსავლების უწყისზე. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა სხვა ინფორმაციაზე არსებულ მატერიალური უზუსტობაზე რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ზემოთხსენებული მოვლენებით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება, პოტენციურად ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვინაჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმვით შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტუარტ ლეიტონი

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

2020 წლის 21 იანვარი

თბილისი, საქართველო

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

		2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
	შენიშვნები		
შემოსავლები	6	37,730	40,699
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(24,238)	(27,816)
მთლიანი მოგება		13,492	12,883
გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	8	(7,529)	(7,741)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(4,698)	(3,470)
წმინდა ფინანსური ხარჯები	10	(3,025)	(3,465)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(875)	(249)
სხვა შემოსავალი, წმინდა		47	100
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,588)	(1,942)
მოგების გადასახადის ხარჯი	11	-	-
სულ წლის სრული ზარალი		(2,588)	(1,942)

ხელმძღვანელობის სახელით

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „იბერია რეფერშმენტსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	12	13,411	11,819
არამატერიალური აქტივები		170	228
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,581	12,047
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	13	6,431	5,539
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,760	5,594
ფული და ფულის ექვივალენტები	15	216	489
სულ მიმდინარე აქტივები		14,407	11,622
სულ აქტივები		27,988	23,669
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი</i>			
სააქციო კაპიტალი	16	16,277	16,277
დაგროვილი ზარალი		(33,900)	(31,312)
სულ კაპიტალი		(17,623)	(15,035)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
აღებული სესხები	17	31,823	7,128
საიჯარო ვალდებულება	19	574	182
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		32,397	7,310
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
აღებული სესხები	17	2,364	22,904
საიჯარო ვალდებულება	19	503	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	10,347	8,376
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,214	31,394
სულ ვალდებულებები		45,611	38,704
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,988	23,669

ხელმძღვანელობის სახელით

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10 -39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „იბერია რეფერენსი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,277	(29,370)	(13,093)
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(1,942)	(1,942)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,277	(31,312)	(15,035)
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(2,588)	(2,588)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,277	(33,900)	(17,623)

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათასობით ქართულ ლარში)

		2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
	შენიშვნა		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(2,588)	(1,942)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,819	1,531
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	9	688	169
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(3)
მარაგების გაუფასურება		270	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	2,408	2,078
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		1,490	1,636
		<u>4,087</u>	<u>3,469</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების შეცვლამდე			
		<u>4,087</u>	<u>3,469</u>
მოძრაობები საბრუნავ კაპიტალში:			
ზრდა სავაჭროდა სხვა მოთხოვნებში		(3,248)	(571)
ზრდა მარაგებში		(1,162)	(404)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,444	(44)
		<u>1,121</u>	<u>2,450</u>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე და გადასახადებამდე			
		<u>1,121</u>	<u>2,450</u>
გადახდილი პროცენტი		<u>(1,853)</u>	<u>(1,152)</u>
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		<u>(732)</u>	<u>1,298</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,432)	(2,589)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	9	9	47
		<u>9</u>	<u>47</u>
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		<u>(2,423)</u>	<u>(2,542)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		9,905	28,489
სესხების დაფარვა		(6,862)	(27,019)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(283)	(53)
		<u>2,760</u>	<u>1,417</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები			
		<u>2,760</u>	<u>1,417</u>
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა ფულის ექვივალენტებში			
		<u>(395)</u>	<u>173</u>
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში			
		489	444
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი უცხოურ ვალუტაში ფლობილ ფულის ნაშთზე		122	(128)
		<u>122</u>	<u>(128)</u>
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს			
	15	<u>216</u>	<u>489</u>

ხელმძღვანელობის სახელით:

ირაკლი ახვლედიანი
მმართველი დირექტორი
2020 წლის 21 იანვარი

რევაზ ხიჩაკაძე
ფინანსური კონტროლიორი
2020 წლის 21 იანვარი

10-39 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფერმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში, მისი რეგისტრაციის მისამართია: 0109 თეთრი ხევი ჰესი, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზირებული გამაგრებელი სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo.Inc-სთან გაფორმებული ფრანშიზის ხელშეკრულების თანახმად. გარდა ამისა, კომპანია წარმოადგენს PepsiCo.Inc-ის რამდენიმე პროდუქტის იმპორტიორს. კომპანია პროდუქტების რეალიზაციას ახდენს საქართველოს მასშტაბით, საკუთარი სადისტრიბუციო არხებით.

წარმოების პროცესი ხორციელდება კომპანიის მფლობელობაში მყოფ ქარხანაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის წილებს:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შპს „ELSU Inc.“	84.90%	84.90%
ალშაფარ აჰმად აბდულა ალი	15.10%	15.10%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის 84.90% წილის მფლობელია შპს „ELSU Inc“, მშობელი კომპანია, რომელიც თავის მხრივ კონტროლდება ინვესტორთა კონსორციუმით, რომელსაც ხელმძღვანელობს სარქისიანთა ოჯახი, როგორც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. დაფინანსების უმეტესი ნაწილი მომდინარეობს უმეტესი აქციონერისგან სესხების სახით. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები განმარტებულია შენიშვნა 21-ში. ეს ფინანსური ანგარიშები ხელმოწერილია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 იანვარს.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) გამოყენება

2018 წელს შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები იქნა მიღებული:

- „ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები;
- „ფასს 15“ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და დაკავშირებული განმარტებები);
- „ფასს 22“ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.

კომპანიამ „ფასს 15“ და „ფასს 9“ პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ. როგორც ამ ახალი საბუღალტრო სტანდარტების მიღების შედეგი.

„ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები

„ფასს 9“ ფინანსური ინსტრუმენტები ცვლის „ბასს 39“-ის ფინანსურ ინსტრუმენტებს: აღიარება და შეფასება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვრის ან მის შემდეგ, აერთიანებს ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა; კომპანიამ გამოიყენა „ფასს 9“ პროსპექტიულად, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, 2018 წლის 1 იანვარს პირველად. კომპანიას ხელახლა არ წარმოუდგენია შედარებითი ინფორმაცია, რომლის წარდგენა გრძელდება „ბასს 39“-ის შესაბამისად. „ფასს 9“-ს გამოყენებით წარმოქმნილი განსხვავებები პირდაპირ აღიარებულ იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად შეიცვალა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღრიცხვის წესი, რადგან ბასს 39-ის გაწეული ზარალის მიდგომა ჩანაცვლდა სამომავლოდ მოსალოდნელი საკრედიტო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

დანაკარგების (მსდ - ECL) მიდგომით. ფასს 9-ის თანახმად, კომპანია ვალდებულია, მსდ-ის რეზერვი აღიაროს

ყველა ფინანსურ აქტივზე, რომელიც რეალური ღირებულებით არ არის აღრიცხული, მოგება-ზარალში და ასევე სახელშეკრულებო აქტივებზე. ფინანსური აქტივების მარტივი ბუნებიდან გამომდინარე, კომპანია გაუფასურებას გამარტივებული მიდგომით ანგარიშობს, მთლიან საბალანსო ღირებულებაზე არსებობის მანძილზე მსდ-ის გამოყენებით.

ბანკში განთავსებული ყველა ნაშთი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მატარებელი, რადგან ისინი სანდო საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებშია განთავსებული.

ვაჭრობისა და სხვა მოთხოვნების დამატებითი გაუფასურება არ აღიარებულია 2018 წლის იანვრის მდგომარეობით, ბალანსზე „ფასს 9“-ის გამოყენების შედეგის არამატერიალურობის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია შეფასების თავდაპირველი კატეგორიები, „ბასს 39“-ის შესაბამისად და ახალი შეფასების კატეგორიები „ფასს 9“-ის შესაბამისად კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია „ბასს 39“-ის შესაბამისად	ახალი კლასიფიკაცია „ფასს 9“-ის შესაბამისად	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება „ბასს 39“-ის შესაბამისად	ახალი საბალანსო ღირებულება „ფასს 9“-ის შესაბამისად
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხი და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	216	216
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხი და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	7,760	7,760
სულ ფინანსური აქტივები			7,976	7,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	10,347	10,347
საიჯარო ვალდებულება	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	1,077	1,077
სესხები და კრედიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	34,187	34,187
სულ ფინანსური ვალდებულებები			45,611	45,611
წმინდა ფინანსური ვალდებულებები			(37,635)	(37,635)
2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი			-	

„ფასს 15“ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს სტანდარტს: ბასს 18 – შემოსავლები და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება. სტანდარტი გვთავაზობს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების ხუთეტაპიან მოდელს და მოითხოვს, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს იმ ოდენობით, რომელიც ასახავს კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელი ანაზღაურების ოდენობას.

ფასს 15 კომპანიებს ავალდებულებს, გამოიყენონ მსჯელობაზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ეტაპის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. ამასთანავე, ფასს 15 ითხოვს განმარტებითი შენიშვნების გაშიფვრას უფრო გაფართოებული სახით.

„ფასს 15“-ის ძირითადი პრინციპი არის, რომ კომპანიამ უნდა აღიაროს შემოსავლები, რათა ასახულ იქნას დაპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემა კლიენტებსთვის იმ ოდენობით, რის მიღებასაც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი წარადგენს 5 საფეხურიან მიდგომას შემოსავლების აღიარებისთვის:

- დამკვეთთან ხელშეკრულების განსაზღვრა;
- შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა ხელშეკრულებაში;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- მივაკუთვნოთ ტრანზაქციის ფასი შესრულების ვალდებულებებს ხელშეკრულებაში;
- შემოსავლების აღიარება როცა (ან როგორც) კომპანია ასრულებს ვალდებულებას.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია ამონაგებს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა.

კომპანიამ მიიღო „ფასს 15“, რომელიც ძალაში შედვიდა 2018 წლის 1 იანვარს, შეცვლილი რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით.

კომპანიამ შეაფასა არსებული პრაქტიკული მიზანშეწონილი საშუალებები სტანდარტის გამოყენებისთვის და დაასკვნა, რომ ზოგიერთი მათგანი უნდა იქნას გამოყენებული ფასს 15-ის მიღებისას კომპანიის შემოსავლის აღიარებისთვის. კერძოდ, როგორც პრაქტიკული საშუალება, მენეჯმენტი მხედველობაში არ იღებს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტებს, სადაც დროის განსხვავება მოსაზრების მიღებასა და საქონელზე კონტროლის გადაცემას შორის თავიანთი დამკვეთებისთვის არის ერთი წელი ან ნაკლები. სხვა პრაქტიკულ საშუალებებს არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის შემოსავლების აღიარებაზე ამიტომაც არ გამოყენებულა.

კომპანიის კონტრაქტორებთან თითოეული გაყიდვის ხელშეკრულების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთ კომპონენტზე დაფუძნებული შესრულების ვალდებულება, ანუ დადგენილ პერიოდში დილერებისათვის პროდუქტის მიყიდვა და, ამდენად, ტრანზაქციის ფასი მხოლოდ ამ ვალდებულებას მიეწერება. გაყიდვის მომენტში კლიენტზე კონტროლის გადაცემის შემდეგ კომპანიის შესრულების ვალდებულება სრულდება და ხდება შემოსავლის აღიარება.

კომპანიის შესრულების ვალდებულების დასრულების შემდეგ, კომპანიას აქვს უპირობო უფლება ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების მიღებაზე. მოთხოვნები ჩვეულებრივ მიიღება ორ თვეზე ნაკლებ ვადაში, რაც გადახდის პირობების შესაბამისია. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შესრულების ყველა ვალდებულების თავდაპირველი ხანგრძლივობა ერთი წელი ან ნაკლებია. გაყიდვების პირობები ზოგიერთი დამკვეთისთვის არ ითვალისწინებს დაბრუნების უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც უკავშირდება კომპანიის მხრიდან წარმოების რაიმე წუნს. მიუხედავად ამისა, დამკვეთთან კარგი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, კომპანია საკუთარი ნებით, იძლევა ვადაგასული პროდუქტის დაბრუნების საშუალებას გონივრულ დონემდე.

ცვალებადი საზღაური ფასდაკლებების ფორმით გამოქვითულია მთლიანი შემოსავლიდან შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. 2018 წელს, კომპანიამ არ აღიარა შემოსავალი 2,241 ათასი ლარის ოდენობით საბითუმო კონტრაქტთან მიმართებაში არსებულ დამკვეთებთან ღირებულების და მოცულობის ფასდაკლებებით.

„ფასიკ 22“ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.

„ფასიკ 22“-ის ინტერპრეტაცია აღწერს თუ როგორ განისაზღვროს „ტრანზაქციის თარიღი“, გაცვლითი კურსის დადგენის მიზნით, რათა გამოყენებულ იქნას აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის საწყისი აღიარებისთვის, როდესაც საზღაური იმ ნივთისთვის გადახდილია ან მიღებულია წინასწარ უცხოურ ვალუტაში, რამაც გამოიწვია არაფულადი აქტივის აღიარება ან არაფულადი ვალდებულება (მაგალითად, არადაბრუნებადი ანაზღაური ან გადავადებული შემოსავალი)

ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის თარიღი, რომლის დროსაც ორგანიზაცია თავდაპირველად აღიარებს არა-ფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა გადახდის ან წინასწარი საზღაურის მიღებიდან. თუ არსებობს მრავალი გადახდა ან წინასწარ გადახდის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

დოკუმენტი, ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ განსაზღვროს ტრანზაქციის თარიღი თითოეული გადახდისთვის ან წინასწარი საზღაურის მიღებისთვის.

ახალი და შესწორებული ფასის სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შესწორებული ფასის სტანდარტები, რომელიც გამოიცა მაგრამ არ არის ძალაში;

- ფასს 16 - იჯარა¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი¹.
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;

1. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტიული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად გადაფასების გარეშე;

ფასს 16 იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარეს ფინანსურ ანგარიშგებაში დამუშავების პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის პირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16:C5(6) შესაბამისია. ამდენად, სტანდარტის გამოყენების პირველ დღეს გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულების ოდენობით აისახება. ცვლადი ანაზღაურებანი აქტივებისა და 12 თვეზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადის მქონე აქტივების შემთხვევაში, კომპანია პრაქტიკულ საშუალებას მიმართავს და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, კომპანია შეეჯამებულ ინფორმაციას არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად. გარდა ამისა, დეტალური განმარტებები მოთხოვნილია „ფასს 16“-ის მიერ.

მენეჯმენტმა დაასრულა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური გავლენის თავდაპირველი შეფასება, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებია მისი დეტალური შეფასება. საწყისი გამოყენების პერიოდში „ფასს 16“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოყენების ფაქტობრივი ზეგავლენა დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობებზე, კომპანიის იჯარის პორტფოლიოს განვითარებაზე, კომპანიის შეფასებაზე გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების რაიმე ვარიანტებს და ხარისხს, რომელშიც კომპანია ირჩევს გამოიყენოს პრაქტიკულ მეთოდებს და აღიარების გამონაკლისებს. საწყის შეფასებაზე დაფუძნებით, კომპანია ითვალისწინებს, რომ „ფასს 16“-ის გამოყენებას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

„ფასს 9“-ის შესწორებები წინასწარგადახდის ფუნქციები ნეგატიური კომპენსაციით

„ფასს 9“-ში ცვლილებები განმარტავენ, რომ იმის შესაფასებლად შეესაბამება თუ არა წინასწარ გადახდის ფუნქცია SPPI (მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდები) პირობას, მხარეს რომელიც იყენებს ოფციონს შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს გონივრული ანაზღაურება წინასწარ გადახდისთვის მიუხედავად წინასწარ გადახდის მიზეზისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ წინასწარგადახდის ფუნქციები ნეგატიური ანაზღაურებით ავტომატურად არ გულისხმობს შეუსაბამებლობას SPPI-თან.

კომპანიის მენეჯმენტი არ ითვალისწინებს, რომ „ფასს 9“-ში შეტანილი ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ციკლი მოიცავს ოთხი სტანდარტის შესწორებას: ფასს 3 „ბიზნესების გაერთიანება“, ფასს 11 „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 12 „მოგების გადასახადები“ და ბასს 23 „სესხის აღების ხარჯები“.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება თუ არა.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დათვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

„ფასს 3“-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავენ, რომ როდესაც ორგანიზაცია მოიპოვებს ბიზნესსზე კონტროლს, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ოპერაციას, ორგანიზაცია იყენებს საწარმოთა გაერთიანების მოთხოვნებს ეტაპობრივი მიღწევის საშუალებით, ერთობლივ ოპერაციაში მისი ადრინდელი წილის (PHI) რეალური ღირებულებით ხელახლა შეფასების ჩათვლით. PHI, რომელიც ექვემდებარება ხელახლა შეფასებას, მოიცავს არ აღიარებულ აქტივებს, ვალდებულებებს და კეთილ ნებას, დაკავშირებულს ერთობლივ ოპერაციასთან.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, კომპანია არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილ წილებს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 განმარტავს, თუ როგორ განისაზღვროს საბუღალტრო გადასახადის მდგომარეობა, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. ინტერპრეტაცია მოითხოვს ორგანიზაციისგან:

- განსაზღვროს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ფასდება ცალკე თუ როგორც კომპანია; და
- შეაფასოს, არსებობს თუ არა ალბათობა იმისა რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოთვლის მიდგომებს, გამოყენებულს ან შეთავაზებულს გამოსაყენებლად ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენისას.
 - თანხმობის შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია გამოყენებული ან გამოსაყენებლად დაგეგმილი საგადასახადო მიდგომის შესაბამისად, რომელსაც გამოიყენებს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენისას,
 - უარის შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა ასახოს გაურკვევლობის გავლენა მისი საბუღალტრო საგადასახადო მდგომარეობის განსაზღვრისას.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მოზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია მენეჯმენტის მიერ, იმ ვარაუდით, რომ კომპანია გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და მისი ვალდებულებების შესრულებას ნორმალური სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში.

კომპანიამ დაასრულა წელი: 2,588 ათასი ლარის წმინდა ზარალით (2017: წმინდა ზარალი 1,942 ათასი ლარი), მისი დაგროვილი ზარალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 33,900 ათასი ლარი (2017: 31,312 ათასი ლარი).

გარდა ამისა, 2018 წლის 31 წლის მდგომარეობით, კომპანიამ დაარღვია ფინანსური და სხვა საკონტრაქტო შეზღუდვა, რომელიც გათვალისწინებული იყო „ვითიბი“ ბანკთან არსებული ხელშეკრულებით (შენიშვნა 17) სრული თანხით 16,657 ათასი ლარი. 2018 წლის დასასრულამდე კომპანიამ მიიღო „ვითიბი“ ბანკისგან მოთხოვნაზე უარის თქმის წერილი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი არ ითხოვენ სესხის თანხის წინასწარ დაფარვას 12 თვის განმავლობაში მოთხოვნაზე უარის წერილის გაცემის შემდეგ სასესხო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის გამო.

2015 წლიდან კომპანია უზრუნველყოფდა სასმელების ბოთლში ჩამოსხმის მომსახურებას შპს Sah & Co-სთვის, რომელიც წარმოადგენდა ენერგეტიკული სასმელების „Boom fire“ და „Boom best“-ის მწარმოებელს. შპს „Sah & Co“-დან შემოსავალმა შეადგინა მთლიანი გაყიდვების 35 % 2017 წლის განმავლობაში (დაახლოებით 12,7 მილიონი ლარი). კონტრაგენტთან ხელშეკრულება შეწყდა 2017 წლის ნოემბერს, რომელმაც განაპირობა 2018 წლის განმავლობაში გაყიდვების შემცირება.

‘Boom best’-ის გაყიდვების შეწყვეტამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიის მისცა საშუალება მეტად კონცენტრირებულიყო ძირითადი ბიზნესის ზრდაზე 2017-2018 წლიდან. ზემოთ აღნიშნული კონცენტრაციის სადემონსტრაციოდ გასული 2 წლის განმავლობაში 2017-2018 წლები როგორც გაყიდვების მოცულობებისა ასევე ოდენობების თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი გაიზარდა 31 მილიონი ლარიდან („Boom best“ გამოკლებით) 2017 წელს 38 მილიონ ლარამდე 2018 წელს. ძირითადი ბიზნესის განვითარებაზე კონცენტრირებამ მოითხოვა უფრო დიდი საწყისი სამუშაო ინვესტიციები, რამაც გამოიწვია ნეგატიური საოპერაციო ფულადი ნაკადები 2018 წლის განმავლობაში.

კომპანიის სტრატეგია გულისხმობს განაწილებისა და ბაზრის წილის ზრდას, რაც ნიშნავს მნიშვნელოვან ინვესტიციებს გაყიდვებში, მარკეტინგსა და გამაგრებულ სასმელებში. მენეჯმენტი, ასევე, გეგმავს მომავალში რამდენიმე ახალი პროდუქტის წარდგენას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს გაყიდვების შემდგომ ზრდას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ბაზარზე გაზრდილი ინვესტიციის შედეგი დემონსტრირებულია ფაქტობრივი შემდგომი პერიოდის შედეგებით, რომელმაც აჩვენა მნიშვნელოვანი შემოსავლების ზრდა 2019 წლის განმავლობაში. კომპანიამ ასევე დაამატა დამატებითი ადამიანური რესურსი მომდევნო წელს, რომელმაც ძირითადად უნდა აწარმოონ მართვის ბუღალტრული აღრიცვა და მოახდინონ წარმოების ფასების ოპტიმიზირება, მომავალში სამუაო ეფექტის მისაღებად.

გარდა ამისა, წლის დასრულების შემდეგ კომპანიამ მიიღო ფორმალური ვალდებულება უმსხვილესი აქციონერებისგან საოპერაციო საქმიანობის და ვალდებულებების მოგვარების მხარდასაჭერად. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის გზით. მენეჯმენტი თვლის, რომ წერილი აჩვენებს მშობელი კომპანიის გეგმებს, ქართული ოპერაციების მხარდასაჭერად სამომავლო ზრდისთვის.

ეს ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("ლარი"), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა გარკვეული საკუთრებებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც ფასდება გადაფასებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, როგორც საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკებშია აღწერილი.

ისტორიული ღირებულება, როგორც წესი, დაფუძნებულია საზღაურის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც გაცემულია საქონლის და მომსახურებების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ტრანზაქციებს აქციებზე დაფუძნებულ გადახდით, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, საიჯარო ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და ისეთ ღირებულებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ არ არის სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, ბასს 2-ით გათვალისწინებული წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ით გათვალისწინებული გამოყენების ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის რეალური ღირებულების შეფასებები კლასიფიცირდება 1, 2 ან 3 დონეების მიხედვით, რომელშიც დაკვირვებადია რეალური ღირებულების შეფასებების ამოსავალი მონაცემები და რეალური ღირებულების შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა მთლიანობაში, რომელიც ქვემოთაა აღწერილია;

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა. თითოეული კომპანიის სამეურნეო ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მუხლები ფასდება ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც სამეურნეო ერთეული მუშაობს („ფუნქციონალური ვალუტა“). დედა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“). ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩაითვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვეთება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

შემოსავლების აღიარება. გაყიდვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქტზე კონტროლის გადაცემა, კერძოდ, როდესაც პროდუქტი მიეწოდება საბითუმო მოვაჭრეს, ამ უკანასკნელს ენიჭება უფლებამოსილება პროდუქტების გასაღების არხისა და ფასის დადგენაზე და კომპანიას აღარ აქვს შეუსრულებელი ვალდებულება, რაც იმოქმედებდა საბითუმო გამყიდველის მიერ პროდუქტების მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ როცა დამკვეთის და დაკარგვის რისკები გადაეცემა ბითუმად მოვაჭრეს ან ბითუმად მოვაჭრემ მიიღო პროდუქტები გაყიდვების კონტრაქტის შესაბამისი დებულებების მიხედვით.

კომპანია აღიარებს შესრულების ვალდებულებას ყველა შემდეგი შეთავაზებისთვის დროის გარკვეულ მომენტში, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი შესრულების ვალდებულება თითოეული შემთავაზებისთვის.

შემოსავალი აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. გაყიდვის პირობების მიხედვით, შემოსავლის ოდენობას აკლდება მოცულობის ან ღირებულების ფასდათმობები, რომლებიც დილერებზე ან გაყიდვის წერტილებზეა გათვალისწინებული.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. თავდაპირველი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათიპირვანდელი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა:

- მშენებარე აქტივებთან დაკავშირებული გაცვლითი კურსის სხვაობებისა უცხოური ვალუტის სესხებში, მომავალი პროდუქტიული გამოყენებისთვის, რომელიც შესულია იმ აქტივების ფასში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც იმ უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება;
- გაცვლითი კურსის განსხვავებებისა ფულად საშუალებებზე მისაღები ან გადასახდელი უცხოური ოპერაციისთვის, რომლისთვისაც გაანგარიშება არც იგეგმება და არც სავარაუდოდ მოხდება (ამიტომაც, წარმოადგენს წმინდა ინვესტიციების ნაწილს უცხოურ ოპერაციებში), რომელიც აღიარებულია თავდაპირველად სხვა სრულ შემოსავალში და ხელხალაკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგება ან ზარალად ფულადი სახსრების დაფარვის თაობაზე.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები, წლის ბოლოსთვის, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
GEL/USD	2.6766	2.5922
GEL/EUR	3.0701	3.1044

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი აღირიცხება საანგარიშგებო დღისათვის საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ან არსებითად მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგებები;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადასახადები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურებების და/ან უსასყიდლო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა; და
- წარმოდგენილობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

დაბეგვრის ახალი მოდელის ამოქმედების შედეგად, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12-ის „მოგების გადასახადები“ შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები კომპანიების დაბეგვრის ახალ მოდელში აღარ მოქმედებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარდება ნეტო საფუძველზე. თუ მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან დაწყებული მენეჯმენტი წარმოადგენს კომპანიის საგადასახადო ნაშთებს ნეტო საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება 407-ს საფუძველზე დათარიღებული 2015 წლის 7 დეკემბერს.

ძირითადი საშუალებები. მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მიმდინარე მშენებლობები მოცემულია პირვანდელი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ ფასად, რა ფასიც ითვლება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განსაზღვრულ მათ რეალურ ღირებულებად 2013 წლის 1 იანვრისთვის, ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთისა და/ან შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მცირე მასშტაბის შეკეთების ხარჯები აღიარდება გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსმენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი, რაიმე ნიშნის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ანაზღაურებას დაქვემდებარებულ თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უმეტესი ვიდრე აქტივის რეალური ღირებულება გაყიდვებასა და გამოყენებაში მისი ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებას დაქვემდებარებულ თანხამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარდება მოგება წაგებაში წლის განმავლობაში. წინა წლებში აქტივისათვის აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდება საჭიროების შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას შეფასებაში, რომელიც გამოყენებულია გამოყენებაში აქტივის ღირებულებას ან რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოკლებული გასაყიდი ხარჯების გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალსა და ხარჯებში.

წარმოებისთვის, მიწოდებისთვის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის მიმდინარე მშენებლობისას, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პროფესიულ საფასურებს. განსაკუთრებული აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება კომპანიის საღირსეზო პოლიტიკის შესაბამისად. ასეთი საკუთრებები კლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში, როდესაც დასრულებულია და მზად არის გამოყენებისთვის. ამ აქტივების ცვეთა, ისევე, როგორც სხვა ქონებრივი აქტივების, იწყება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები მზად არიან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნაწილებზე ცვეთა დაიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. გაანგარიშებული სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და პროგნოზის ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობები	30 წელი
მანქანა -დანადგარები და აღჭურვილობა	2-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი

ფინანსური იჯარის პირობებში განთავსებული აქტივები ამორტიზდება მათი მოსალოდნელი ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, იმავე საფუძველზე, როგორც საკუთრებაში არსებული აქტივები. ამასთან, როდესაც არ არსებობს გონივრული რწმუნება, რომ საკუთრება მოიპოვება იჯარის ვადის გასვლის დროისთვის, აქტივები ამორტიზდება უმცირესით, იჯარის ვადას და მათი ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდს შორის.

ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენითი ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კომპანიის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე. სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

გადასახადამდების კონტრირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, შეფასებით, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ შესაბამისი აქტივი გადაფასებული ღირებულებით არ არის შეფასებული, რა დროსაც გაუფასურების დანაკარგი განიხილება როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

როცა გაუფასურების ზარალი შემდგომში ანაზღაურდება, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულადი სახსრების გამოუმუშავებელი ერთეული) იზრდება მისი ანაზღაურებადი თანხის შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა, რომ არა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება აქტივისთვის (ან ფულადი სახსრების გამოუმუშავებელი ერთეული). გაუფასურების ზარალის ანულირება აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებასა ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი გადაფასებული ღირებულებით არაა შეფასებული, რა დროსაც გაუფასურების დანაკარგი განიხილება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. თუ ასეთი ნიშნები არსებობს, ფასდება აქტივების აღდგენითი ღირებულებები.

გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან მისი შემოსავლის მომტანი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებას აჭარბებს. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენებულ ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა. ისეთი აქტივის შემთხვევაში, რომელიც ფულად შემოდინებებს არ გამოიმუშავებს სხვა აქტივების ფულადი ნაკადებისგან დამოუკიდებლად, აღდგენითი ღირებულება დგინდება შემოსავლის მომტანი იმ ერთეულის მიხედვით, რომელსაც ეს აქტივი ეკუთვნის.

თუ პროგნოზი ისე შეიცვალა, რომ ამან გამოიწვია აღდგენითი ღირებულების გაზრდა, გაუფასურების დანაკარგები უქმდება, მაგრამ თუ ამით აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს ისეთ საბალანსო ღირებულებას ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, რომლითაც აქტივი შეფასდებოდა, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

არამატერიალური აქტივების შემენა. განსაზღვრული მოხმარების ვადის იმ არამატერიალური აქტივების ღირებულებას, რომლებიც ცალ-ცალკე იყო შეძენილი, აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდის მიხედვით. დარჩენილი სასარგებლო მოხმარების ვადა და ცვეთის მეთოდი არის მიმოხილული თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასებული ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცალკემდგომად შეძენილი განუსაზღვრელი მოხმარების ვადის არამატერიალური აქტივები აისახება როგორც ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ანარიცხები. ანარიცხები აღიარებულია, როცა კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად, არსებობს ალბათობა რომ კომპანიას მოეთხოვება ვალდებულების ანგარიშსწორება, და საიმედო შეფასება შესაძლებელია ვალდებულების ოდენობაზე.

ანარიცხად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ ფულის დროში ღირებულების ეფექტი საკმარისად დიდია).

როდესაც ანარიცხების დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტდება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტდება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასაული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა). მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასაული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი აისახება მთლიანად ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მისი კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აღსარიცხი. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ბუნებაზე და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით ასახავს, თუ კმაყოფილდება ორივე შემდეგი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში აღირიცხება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებითა და ფინანსური აქტივის გაყიდვით; და
- ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდებს.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი ფასდება შემდგომი რეალური ღირებულებით მოგების და ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას გამოიყენოს შემდეგი შეუქცევადი პირობა/კლასიფიკაცია:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

- კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად გადაწყვიტოს, წილობრივი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად დაადგინოს ისეთი სავალო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახულის ან ამორტიზებული ღირებულებით ასახულის კრიტერიუმს, თუ ამ შემთხვევაში, მოხდება ბუღალტრული შეუსაბამობის სრული აღმოფხვრა ან მნიშვნელოვნად შემცირება.

არსებული გამოცდილების საფუძველზე, კომპანია ყველა აქტივს ფლობს სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მისაღებად. აქტივები პირველ ბიზნეს-მოდელში კლასიფიცირდება - „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

ისეთი ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არ არის შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივები (ანუ ის აქტივები, რომელთა საკრედიტო რეიტინგი ხარვეზიანია საწყისი აღიარებისას), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქვლების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

შესყიდული ან წარმოშობილი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებითა და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით, საწყისი აღიარებისას სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი აისახება საწყისი აღიარებისას, ძირითადი გადახდების გამოკლებითა და ჯამური ამორტიზაციის დამატებით, საწყისი ოდენობასა და ვადის გასვლისას ოდენობას შორის სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელიც კორექტირებულია დანაკარგების რეზერვზე. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება დანაკარგების რეზერვის შექმნამდე.

შემდგომში სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი შემდგომში გაუუარესდათ (იხილეთ ქვემოთ). ამ უკანასკნელი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ პერიოდებში ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ეს ფინანსური აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხისა აღარ არის, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება მის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს თავდაპირველად აღიარებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე კრედიტზე კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გამოთვლა მთლიან ღირებულებაზე არ გადადის მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი უმჯობესდება და ეს აქტივი ხარვეზიანი საკრედიტო ხარისხის ფინანსურ აქტივად აღარ ითვლება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები. ფულადი და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში, დეპოზიტებსა და საბაზრო ფასიან ქაღალდებს, 3 თვეზე ნაკლები პირველადი დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად კომპანია იყენებს ფასს 9-ით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას, რომელშიც ყველა სავაჭრო მოთხოვნისა და სახელშეკრულებო აქტივისათვის გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) არსებობის მანძილზე. ამდენად, ფულისა და ფულის ექვივალენტების და სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას არ ამოწმებს. ამის ნაცვლად ის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში დანაკარგების რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსდ-ის საფუძველზე. კომპანია მიმართავს რეზერვირების მიდგომას, რომელიც მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც კორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსათვის დამახასიათებელი ფორვარდული ფაქტორებით. გაუფასურების მოდელთან ერთად კომპანია აგრეთვე იყენებს დებიტორების საკრედიტო რეიტინგებს, რომლებსაც გარე წყაროებიდან მოიპოვებს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს, თუ სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივი დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად შეიძლება ჩაითვალოს, თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, კომპანიამ დარჩენილი სახელშეკრულებო თანხა სრულად მიიღოს მის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი საშუალებების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი აქტივები გაუფასურების დანაკარგების რეზერვიდან ჩამოიწერება აქტივის აღდგენის ყველა პროცედურის დასრულებისა და დანაკარგის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშში წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა პირს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გარდა ამისა, სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის აღიარების გაუქმებისას, ინვესტიციების გადაფასების რეზერვში მანამდე დაგროვილი ჯამური მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები.

ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები აისახება "FVTPL" საშუალებით ან "ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით".

სხვა ფინანსური ვალდებულებები. სხვა ფინანსური ვალდებულებები (მათ შორის სესხები და სავაჭრო და სხვა გადასახდელები) თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, გამოკლებული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ტრანზაქციის ხარჯები. შემდგომში ისინი განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარა – იჯარები კლასიფიცირდება როგორც, ფინანსური იჯარები, როდესაც იჯარის პირობები გადასცემს მოიჯარეს პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია როგორც სამუშაო იჯარა.

სესხები და კრედიტები. სესხები და კრედიტები თავდაპირველად აღირებულია მათი რეალური ღირებულებას ტრანზაქციის ხარჯები გამოკლებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით იგივე ინსტრუმენტისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და კრედიტები აისახება ამორტიზებულ ფასად ეფექტური შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობით საწყის აღიარების თანხასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარდება მოგებას ან ზარალში როგორც საპროცენტო ხარჯი მთლიანი დავალიანების პერიოდში. სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება ვალდებულების გადავადების შესახებ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, საანგარიშო თარიღიდან.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება კონტრაგენტის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის კრიტიკული შეფასებები, პროგნოზების მომცველი შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც ყველაზე დიდი ეფექტი ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება წარმოადგენს მენეჯმენტის მსჯელობის საგანს, რომელიც ემყარება მსგავსი აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებში ან შეფასებებში ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს კორექტირებები ცვეთის მომავალ განაკვეთებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სავარაუდო დანაკარგების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია დამკვეთების უუნარობით გადაიხადონ მოთხოვნილი გადასახადები ან მომწოდებლების უუნარობით რომ მიწოდებულ იქნას შეთანხმებული საქონელი ან მომსახურებები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას,

მენეჯმენტი მისი შეფასებისას ეყრდნობა მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებს, დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების ნაშთებს, თავდაპირველი ჩამოწერის გამოცდილებას,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

დამკვეთთა და მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობებში განხორციელებულ ცვლილებებს. ეკონომიკაში, მრეწველობაში, ან დამკვეთის ან მიმწოდებლის სპეციფიკურ პირობებში ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს კორექტირებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიმართ. რომელიც აღრიცხული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. როგორც #22 შენიშვნაშია განხილული, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა საქართველოში დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვექვე დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი თითოეულ საანგარიშგებო დღეს აფასებს. ვალდებულებები მოგების გადასახადის პოზიციებზე აღირიცხება, თუ მენეჯმენტის აზრით, ეს პოზიციები ნაკლებად დადგება ექვექვე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის არსებითად ან მთლიანად ამოქმედებული საგადასახადო ნორმების ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება მენეჯმენტის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ხარჯი იქნება საჭირო საანგარიშგებო დღეს ვალდებულების დასაფარად. პროგნოზი რეალური შედეგებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

5. შეცდომათა გასწორება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის შემდეგ, მენეჯმენტმა გამოავლინა გარკვეული შეცდომები ცვეთის ხარჯთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებასთან მიმართებაში, რომლებიც არ იყო სათანადოდ კლასიფიცირებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის და ხარჯების ბუნების მიხედვით. „ბასს 7“- თან „ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ შესაბამისობისთვის, სათანადო რეკლასიფიკაციები აღრიცხულია რეტროსპექტულად.

ზემოთ ნახსენებ რეკლასიფიკაციებს აქვთ შემდეგი გავლენა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	რეკლასიფიკაციის თანხა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	როგორც რეკლასიფიცირებული 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	აღწერა
გაყიდვა, დისტრიბუცია და მარკეტინგი	6,813	928	7,741	აქტივების ცვეთის ხარჯი, რომლებიც გამოიყენება გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის პროცესში არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მათი ხელახლა კლასიფიცირება ადმინისტრაციული ხარჯებიდან გაყიდვის, დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯებში.
სხვა შემოსავალი /გასავალი, წმინდა	(69)	169	100	სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მიკუთვნებული გაუფასურების ზარალი, არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მათი ხელახლა კლასიფიცირება სხვა შემოსავლიდან / (ხარჯებიდან) ადმინისტრაციულ ხარჯებში.
ადმინისტრაციული ხარჯები	4,229	(759)	3,470	აქტივებისთვის მიკუთვნებული ცვეთის ხარჯი, რომელიც გამოიყენება გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

პროცესში არ ყოფილა სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მისი ხელახლა კლასიფიცირება ადმინისტრაციული ხარჯებიდან გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისხარჯი არ იყო სათანადოდ კლასიფიცირებული მათი ბუნებისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. შედეგად, მენეჯმენტმა მოახდინა მისი ხელახლა კლასიფიცირება სხვა შემოსავლიდან / (ხარჯებიდან) ადმინისტრაციულ ხარჯებში.

რეკლასიფიკაციებს არ ქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე.

6. შემოსავლები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის შემოსავლების ანალიზი უწყვეტი ოპერაციებისგან წლის განმავლობაში:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავლები ადგილობრივი გაყიდვებიდან	33,931	38,066
შემოსავლები საექსპორტო გაყიდვებიდან	3,799	2,633
	37,730	40,699

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მასალები	22,366	26,191
ხელფასები	1,074	1,124
ცვეთა	798	501
	24,238	27,816

8. გაყიდვის, დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
თანამშრომელთა ხელფასები	3,789	2,997
სატრანსპორტო ხარჯები	1,498	1,548
ცვეთის ხარჯები	926	928
შენახვის ხარჯები	856	1,593
მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯები	399	583
სხვა	61	92
	7,529	7,741

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
თანამშრომელთა ხელფასები	1,898	1,621
მოსალოდნელის საკრედიტო ზარალი	688	169
სარემონტო ხარჯი	676	359
პროფესიული მომსახურებები	332	596
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	329	162
გადასახადები, გარდა სამემოსავლოსა	327	196
ცვეთის ხარჯი	95	106
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	85	68
სხვა	268	193
	4,698	3,470

10. წმინდა ფინანსური ხარჯები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით	2,408	2,078
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	617	1,387
	3,025	3,465

11. უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცვლილებების შეტანას კორპორატიულ საგადასახადო კოდექსში, ცვლილებებით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი მოქმედია ქართული კომპანიებისთვის და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებებისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა.

ადრე არსებული მოგების გადასახადის რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გადასახადი, მათ ყოველწლიურ დაბეგვრად შემოსავალზე ახლა შეცვლილია სისტემით, სადაც გადასახადი უნდა იქნას გადახდილი მხოლოდ, მაშინ როცა კორპორატიული მოგებები ნაწილდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

ცვლილებას ქონდა დაუყოვნებლივი გავლენა კომპანიის გადავადებულ გადასახადებზე რადგან ის აუქმებს დროებით სხვაობებს, გარკვეული ატივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებს შორის ფინანსური საანგარიშგებო მიზნებისთვის და მათ საგადასახადო საფუძვლებისთვის.

გადავადებული საგასახადო აქტივის საგადასახადო საკონონმდებლო ბალანსის ცვლილებების გამო, რომელიც მიკუთვნებული იყო წინა პერიოდიდან, ადრე აღიარებული დროებითი სხვაობებისთვის, სრულად ჩამოიწერა მოგებას და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის.

2016 წლიდან, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაგროვილი ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტოს საფუძველზე. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დამატებითი ღირებულების გადასახადის ვალდებულება, გადასახდელი აქციზები და სხვა წინასწარ გადასახდელი გადასახადი დაგროვილია საგადასახადო ვალდებულებებში, ნეტო ანგარიშზე ფინანსურ ანგარიშგებებში.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

	მიწის საკუთრების უპირობო უფლება	შენობა- ნაგებობები	სამანქანო დანადგარები და მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მიმდინარე მშენებლობები და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
ღირებულება								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	1,573	4,503	8,359	228	52	1,703	237	16,655
დამატებები	-	-	-	-	-	-	2,589	2,589
რეალიზაცია	-	-	(9)	-	(38)	-	-	(47)
ტრანსფერი	-	64	2,102	72	1	375	(2,614)	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,573	4,567	10,452	300	15	2,078	212	19,197
დამატებები	-	-	-	-	-	-	3,363	3,363
რეალიზაცია	-	-	(557)	(90)	-	(81)	-	(728)
ტრანსფერი	-	37	2,212	65	2	1,069	(3,385)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,573	4,604	12,107	275	17	3,066	190	21,832
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	494	4,433	134	33	819	-	5,913
რეალიზაცია	-	-	(8)	-	(35)	-	-	(43)
ცვეთის ხარჯი	-	80	1,271	39	7	111	-	1,508
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	-	574	5,696	173	5	930	-	7,378
რეალიზაცია	-	-	(555)	(89)	-	(74)	-	(718)
ცვეთის ხარჯი	-	164	1,408	48	4	137	-	1,761
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	738	6,549	132	9	993	-	8,421
საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერს	1,573	3,993	4,756	127	10	1,148	212	11,819
2018 წლის 31 დეკემბერს	1,573	3,866	5,558	143	8	2,073	190	13,411

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

798 ათასი ლარის ოდენობის ცვეთის ხარჯი დაეკისრა გაყიდული საქონლის თვითღირებულებას (2016: 1,071 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

2018 და 2017 წლის მდგომარეობით ქონებასა და აღჭურვილობის შემადგენლობაში იყო სრულად ამორტიზებული აქტივები, მთლიანი თანხის ოდენობით 3,201 ათასი ლარი და 3,947 ათასი ლარი.

კომპანიის მთელი ქონება გირაოშია ჩადებული უზრუნველყოფის სახით „ვითიზი“ ბანკის მიერ ნასესხები ფულადი სახსრებისთვის (შენიშვნა 17).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დაადგინა გაუფასურების მაჩვენებლები და შეასრულა გაუფასურების ტესტი. კომპანიამ განიხილა მთელი ძირითადი საშუალებები როგორც ერთი ფულადი სახსრების გამომმუშავებელი ერთეული და განსაზღვრა ანაზღაურებადი თანხა, გამოყენების ღირებულება, რომელიც შეადგენს 18.276 ათასს ლარს. ვინაიდან გამოყენების ღირებულება აღემატებოდა ქონების წმინდა საბალანსო ღირებულებას, გაუფასურება არ დაფიქსირებულა. ანაზღაურებადი თანხის გაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი ვარაუდებია:

- ზრდა გაყიდვებში, ხარჯები 10%-ით 2020, 2021 და 2022 წლისთვის და 5% 2023 წლისთვის;
- წლიური კაპიტალური ხარჯები, რომელიც შეადგენს 1.2 მილიონ ლარს;
- კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება გამოყენებულ იქნა როგორც ფასდაკლების განაკვეთი, 12%.

სენსიტიურობის ანალიზი:

ფასდაკლების განაკვეთის ზრდამ 2 %-თ, გამოიწვია 15,043 ათასი ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც მაინც აღემატებოდა ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას.

გაყიდვებში 7% -ით ზრდამ 10%-ის ნაცვლად გამოიწვია 16,265 ათასი ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც მაინც აღემატებოდა ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას.

13. მარაგები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნედლეული და მასალები	2,605	2,404
მზა პროდუქცია	2,122	1,394
საქონელი გზაში	390	409
სხვა მარაგი	1,314	1,332
	6,431	5,539

მარაგების ღირებულებამ ხარჯად აღიარებულმა წლის განმავლობაში უწყვეტ ოპერაციებთან დაკავშირებით შეადგინა 22,366 ათასი ლარი (31 დეკემბერი 2017: 26,191 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

ანარიცხი ნელა მოძრავი მარაგისთვის წარმოადგენს 216 ათას ლარს და ნულს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

სხვა მარაგები წარმოადგენენ სათადარიგო ნაწილებს და მასალებს, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო მოთხოვნები	8,988	5,955
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,423)	(735)
წინასწარ გადახდები	195	374
	7,760	5,594

სავაჭრო მოთხოვნების ამოღებადობის განსაზღვრისას, კომპანია ითვალისწინებს ნებისმიერ ცვლილებას სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხში კრედიტის საწყისი გაცემიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია არის შეზღუდული იმის გამო რომ დამკვეთის ბაზა არის დიდი და არადაკავშირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნაშთი წლის დასაწყისში	735	570
გაუფასურების ხარჯი	763	606
გაუფასურების რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(75)	(441)
	1,423	735

	ვადა გადაცილება – 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილ ება	- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილ ება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილ ება	სულ
31 დეკემბერი 2018					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	6,953	803	298	934	8,988
დეფოლტისას	(210)	(102)	(177)	(934)	(1,423)
მსდ არსებობის მანძილზე					
1 იანვარი 2018					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,711	427	280	537	5,955
დეფოლტისას	(95)	(49)	(54)	(537)	(735)
მსდ არსებობის მანძილზე					

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ნაღდი ფული მცირე სალაროში	82	208
ნაღდი ფული ბანკებში	134	281
	216	489

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

16. სააქციო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
31 დეკემბერს გამოშვებული და სრულად გადახდილი	16,277	16,277
ნებადართული აქციების ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად ფასდება კომპანიის დარჩენილი აქტივების მიმართ.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები, როგორც დროდადრო გამოცხადებული, და ასევე აქვთ თითო ხმის უფლება თითო აქციაზე კომპანიის შეხვედრებზე.

17. აღებული სესხები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
არაუზრუნველყოფილი სესხები:		
- დაკავშირებული მხარეებიდან (i)	12,120	7,474
უზრუნველყოფილი სესხები:		
- საბანკო სესხები (ii)	22,067	22,558
	34,187	30,032
მიმდინარე	2,364	22,904
გრძელვადიანი	31,823	7,128
	34,187	30,032

- (i) კომპანიის დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები, Elsu Group. წელიწადში 6 % ეკისრება გადაუხდელი სესხის ნაშთს. ორი სესხის დაფარვის ვადა არის 2020 წლის მარტში, ხოლო მესამე ვადა არის 2021 წლის აგვისტოში.
- (ii) გადაუხდელი ნაშთი, გირაოთი უზრუნველყოფილი კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით 13,411 ათასი ლარი (იხილეთ შენიშვნა 12). საპროცენტო განაკვეთი საბანკო სესხებზე არის 7-დან 7.5 % მდე დაფარვის პერიოდით, რომელიც არ აღემატება 5 წელიწადს.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია ფინანსური და ნეგატიური შეზღუდვები, რომელსაც ითვალისწინებდა სასესხო ხელშეკრულება კომპანიასა და „ვითიბი“ ბანკს შორის. წლის დასასრულამდე კომპანიამ მიიღო უარის თქმის წერილი ბანკისგან, რომელიც ადასტურებდა, რომ მსესხებელი არ ითხოვდა სესხის დაჩქარებულ დაფარვას და სესხის პირობები არ შეცვლილა. შედეგად გრძელვადიანი ნაშთები არ იქნა გადაკლასიფიცირებული მოკლევადიანად.

ფინანსური საქმიანობით წარმოშობილი ვალდებულებების შედარება

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ცვლილებებს კომპანიის ვალდებულებებში, რომელიც გამომდინარეობს დაფინანსების საქმიანობიდან, როგორც ფულადი ასევე უნაღდოს ჩათვლით. დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები გულისხმობს იმ ვალდებულებებს, რომელთათვისაც ფულადი ნაკადი იყო, ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება, კალსიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	1 იანვარი 2018	ფულადი ნაკადების დაფინანსება (i)	სხვა ცვლილებები(ii)	უნაღდო გადაცემა უცხოური ვალუტის კურსის ზარალი	31 დეკემბერი 2018
სესხები	30,032	3,045	493	617	34,187
	30,032	3,045	493	617	34,187

- (i) ფულადი ნაკადები სესხებიდან, დაფინანსებიდან შეადგენს შემოსავლის ნეტო თანხას სესხებიდან და სესხების დაფარვას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
- (ii) სხვა ცვლილებებში შედის პროცენტის დარიცხვა და გადახდები.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო ვალდებულებები	9,493	7,606
საგადასახადო ვალდებულებები, გარდა საშემოსავლოსა	507	554
გადასახდელი ხელფასები	347	216
	10,347	8,376

გარკვეული საქონლის შიდა შესყიდვების საშუალო საკრედიტო პერიოდი არის 1-3 თვე.

კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა სამუშაო ადგილზე, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელის გადახდა წინასწარ შეთანხმებული საკრედიტო პირობების შესაბამისად.

კომპანიის მიერ ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის საფრთხის წინაშე ყოფნა, რომელიც უკავშირდება ვაჭრობას და სხვა გადასახდელებს განმარტებულია შენიშვნა 20-ში.

19. საიჯარო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	503	114
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	574	182
სულ საიჯარო ვალდებულება	1,077	296

	იჯარის მინიმალური გადასახადები		მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება	
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
დასაფარი ერთ წელიწადში	590	150	503	114
დასაფარი ერთიდან 5 წლამდე	638	222	574	182
დასაფარი 5 წლის შემდეგ	-	-	-	-
	1,228	372	1,077	296
გამოკლებული: მომავალი ფინანსური ხარჯები	(151)	(76)	N/A	N/A
მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება	1,077	296	1,077	296

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 კაპიტალის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეურნეო ერთეულები კომპანიაში შეძლებენ გააგრძელონ უწყვეტი მუშაობა, ხოლო აქციონერებისთვის მოხდეს შემოსავლის მაქსიმიზაცია ვალის და კაპიტალის ნაშთის ოპტიმიზაციით. კომპანიის მთლიანი სტრატეგია რჩება უცვლელი 2014 წლიდან.

კომპანიის კაპიტალის მოიცავს წმინდა ვალდებულებებს (სესხები, როგორც დეტალურადაა აღწერილი 17-შენიშვნაში ურთიერთგადაფარული ნაღდი ფულით და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალს (გამოშვებული კაპიტალის, ისე როგორც აღწერილია მე-16 შენიშვნაში და დაგროვებული ზარალის ჩათვლით). კომპანია არ ექვემდებარება რაიმე რეგულაციებს კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
აღებული სესხები	34,187	30,032
ფული და ფულის ექვივალენტები	(216)	(489)
წმინდა ვალი	33,971	29,543
კაპიტალი	(17,623)	(15,035)
წმინდა დავალიანება კაპიტალის თანაფარდობის მიმართ	(193)%	(196)%

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფინანსური ვალდებულებები		
ფული და ფულის ექვივალენტები	216	489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,760	5,594
ფინანსური ვალდებულებები		
აღებული სესხები	34,187	30,032
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,347	8,376
საიჯარო ვალდებულება	1,077	296

20.3 საბაზრო რისკი

კომპანიის აქტივობები ძირითადად ფინანსური რისკის წინაშე დგანან, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (იხილეთ შენიშვნა 20.4 ქვემოთ) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან (იხილეთ შენიშვნა 20.5 ქვემოთ). კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს რათა მართოს უცხოური ვალუტის და საპროცენტო რისკის საფრთხეები.

20.4 უცხოური ვალუტის რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში; შესაბამისად, საფრთხეები წარმოიშობა, სავალუტო განაკვეთების არამდგრადობის მიმართ;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

კომპანიის ფულადი აქტივების და ფულადი ვალდებულებების დენომინირებული უცხური ვალუტის საბალანსო ღირებულება, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის შემდეგი:

	ვალდებულებები		აქტივები	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
აშშ დოლარი	26,431	19,373	3,369	1,541
ევრო	14,192	17,000	-	61

კომპანია ძირითადად ატარებს სავალუტო რისკს დაკავშირებულს აშშ დოლართან და ევროსთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის მიმართ ფუნქციონალური ვალუტის გაძლიერების / შესუსტებაზე 15% -ით, 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი გამოყენებულია ფულად საშუალებებზე საანგარიშგებო პერიოდის დროს, რომელიც დენომინირებულია შესაბამის ვალუტაში.

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მოგება ან ზარალი	3,459	2,675	2,129	2,541

20.5 საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობდა მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

20.6 საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი გულისხმობს დამკვეთის მიერ ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობას კომპანიის მიმართ, რაც გამოიწვევს კომპანიისთვის ფინანსურ ზარალს. კომპანია დგას საკრედიტო რისკების წინაშე მისი საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) გამომდინარე, საბანკო ანგარიშების და დაკავშირებული მხარეების, უცხური ვალუტის ოპერაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისთვის შეზღუდულია, რადგან ბანკები არიან კონტრაგენტები, რომელთაც აქვთ დადებითი საკრედიტო რეიტინგი.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დანაკარგების რეზერვს აფასებს არსებობის მანძილზე მსდ-ის ტოლი თანხით. სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილების, დაფარვამდე დარჩენილი დღეების ანალიზისა და დასაფარ ნაშთებზე საბანკო გარანტიების საშუალებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტით გამოწვეულ ზარალზე და დეფოლტის რისკით. დეფოლტის რისკის გამოსათვლელად (PD) არავადაცადაცილებული ნაშთებისთვის კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ წარმოებულ კვლევას. კომპანიამ შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო რისკები, რომელსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა. ვადაცადაცილებული ნაშთებისთვის კომპანია იყენებს მოთხოვნების დაფარვის წარსულ გამოცდილებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 10 უმსხვილესი მომხმარებლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გადაუხდელო ნაშთი შეადგენს 62 % და 68%.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საკრედიტო რისკის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა, რომელიც არის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, უზუნველყოფების გათვალისწინებით.

	მაქსიმალური ზემოქმედება	
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	216	489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,565	5,220

20.7 ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში დეტალურადაა აღწერილი კომპანიის მოსალოდნელი დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისთვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური აქტივების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, პროცენტის ჩათვლით, რომელიც გამომუშავდება იმ აქტივებზე. არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებზე ინფორმაციის ჩართვა არის აუცილებელი, კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის გასაგებად, ვინაიდან ლიკვიდურობა იმართება ნეტო აქტივების და ვალდებულებების საფუძველზე.

	1 თვეზე ნაკლები	1-თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-წლიდან 5 წლამდე	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2018						
უპროცენტო	10,347	-	-	-	-	10,347
პროცენტიანი	190	1,130	1,831	31,398	6,309	40,858
	10,537	1,130	1,831	31,398	6,309	51,205
31 დეკემბერი 2017						
უპროცენტო	8,376	-	-	-	-	8,376
პროცენტიანი	1,055	298	2,782	23,418	9,010	36,563
	9,431	298	2,782	23,418	9,010	44,939

20.8 რეალური ღირებულების შეფასებები

ეს შენიშვნა განმარტავს ინფორმაციას, იმის შესახებ თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია სხვადასხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ რომელთათვისაც რეალური ღირებულება განმარტებულია. რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების დონეების მიხედვით და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

	რეალური ღირებულების იერარქია 31 დეკემბერი 2018 წლის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	7,760	7,760
ფული და ფულის ექვივალენტები	216	-	-	216
სულ	216	-	7,760	7,976
ფინანსური ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	34,187	-	34,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	10,347	10,347
საიჯარო ვალდებულებები	-	1,077	-	1,077
სულ	-	35,264	10,347	45,611

	რეალური ღირებულების იერარქია 31 დეკემბრის 2017 წლის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	5,180	5,180
ფული და ფულის ექვივალენტები	489	-	-	489
სულ	489	-	5,180	5,669
ფინანსური ვალდებულებები				
აღებული სესხები	-	30,033	-	30,033
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	8,376	8,376
საიჯარო ვალდებულებები	-	296	-	296
სულ	-	30,329	8,376	38,705

ზემოთ ჩამოთვლილი 2 და 3 დონის კატეგორიებში შეტანილი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები განისაზღვრა ზოგადად მიღებული ფასწარმოქმნის მოდელების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზზე, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად ითვლება ფასდაკლების განაკვეთი, რომელიც ასახავს კონტრაგენტების საკრედიტო რისკს.

21. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს, მფლობელებს, აფილირებულ პირებს და სამეურნეო ერთეულებს, რომლებიც იმყოფებიან ერთობლივი ფლობის და კონტროლის ქვეშ კომპანიასთან და ძირითადი მართვის პერსონალის წევრებთან.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ გარიგებები, რომელიც არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება განხორციელდეს იგივე პირობებითა და ვადებით, როგორც ოპერაციები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება მიმართულია ურთიერთობის მდგომარეობაზე, და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2018				
სუბიექტები				
საერთო				
მშობელი	კონტროლის ქვეშ	სხვა	სულ	
აღებული სესხები	12,120	-	-	12,120
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	71	-	71
შემოსავალი	-	1,178	-	1,178
სავაჭრო საქონელის შეძენა	443	443	-	443

31 დეკემბერი 2017				
სამეურნეო ერთეულები საერთო				
მშობელი	კონტროლის ქვეშ	სხვა	სულ	
აღებული სესხები	7,474	-	-	7,474
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	703	-	703
შემოსავალი	-	1,284	-	1,284
სავაჭრო საქონელის შეძენა	-	738	-	738

ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის ანაზღაურება, რომელიც მოკლევადიანი თანამშრომლის პრივილეგიებით არის წარმოდგენილი, 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, 920 ათასი ლარი და 1,091 ათასი ლარი იყო.

22. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მატერიალური ვალდებულებები დასაფარი არ ჰქონია.

სასამართლო დავები - დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის მიმართ საჩივრები იქნას მიღებული. საკუთარი შეფასებებისა და როგორც შიდა, ასევე გარეგან მიღებული პროფესიონალური რჩევების საფუძველზე, მენეჯმენტი თვლის, რომ რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები ხშირად მოწმდება და ექვემდებარება გამოძიებას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან, რომელთაც შეუძლიათ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დარიცხვა. წლიური ანგარიშები შემოწმებისათვის ღიაა ოთხი კალენდარული წლის განმავლობაში. თუმცა, გარკვეულ ვითარებაში, უფრო დიდი ხნის ვადითაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ბევრ ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა 2017 წლის 21 თებერვალს გამოსცა ბრძანება #4187 კომპანიის მიმართ და კომპანიის ფინანსური ინფორმაციის საგადასახადო აუდიტი შესრულდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით პერიოდისთვის. ამ ფინანსური ანგარიშების გაცემის თარიღისთვის ეს პერიოდები დახურულია მომავალი განხილვისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

სამუშაო გარემო - კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველო აჩვენებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციას და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხელს უწყობს გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგანან საქართველოში მოქმედი კომპანიები.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად. სუვერენული სესხის საერთაშორისო კრიზისმა, საფონდო ბირჟის ცვალებადობამ და სხვა რისკებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს საფინანსო და კორპორატიულ სექტორებზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რაც მეტწილად ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ 2016 და 2017 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაიკვლია, უფრო მეტია მოსალოდნელი, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს სამოქმედო გეგმა განაგრძობს განვითარებას.

მენეჯმენტმა განსაზღვრა გაუფასურების ანარიცხები ეკონომიკური სიტუაციის და პერსპექტივის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანარიცხები განისაზღვრება „გაწეული ზარალის“ მოდელის გამოყენებით, რომელიც მოთხოვნილია მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით. ეს სტანდარტები ითხოვენ გაუფასურების ზარალის აღიარებას სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რომელიც წარმოიშობა წარსული მოვლენებიდან და კრძალავს გაუფასურების ზარალის აღიარებას, რომელიც მომდინარეობს მომავალი მოვლენებიდან, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად სავარაუდოა ეს მომავალი მოვლენები. მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური ხარჯის ვალდებულებები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო ოთხი გრძელვადიანი სესხი მშობელი ორგანიზაციისგან სულ 1,000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობით კაპიტალური ინვესტიციისთვის მაცივრებსა და ახალი პროდუქტის ხაზების განვითარებაში. ყველა სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში და გააჩნია 6.5 %-იანი წლიურ საპროცენტო განაკვეთი.

2019 წლის ნოემბერში კომპანიამ ჩაუშვა ახალი პროდუქტი „მირინდა-მარწყვის-ლიჩის არომატით“.

2019 ნოემბერში კომპანიამ დანიშნა ახალი მმართველი დირექტორი ირაკლი ახვლედიანი.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2001 წლის სექტემბერში, მისი რეგისტრაციის მისამართია: 0109 თეთრი ხევი ჰესი, ორხევის დასახლება, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზიარებული გამაგრილებელი სასმელების წარმოება და გაყიდვა PepsiCo, Inc-სთან გაფორმებული ფრანშიზის ხელშეკრულების თანახმად. გარდა ამისა, კომპანია წარმოადგენს PepsiCo, Inc-ის რამდენიმე პროდუქტის იმპორტიორს. კომპანია პროდუქტების რეალიზაციას ახდენს საქართველოს მასშტაბით, საკუთარი სადისტრიბუციო არხები.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ აწარმოებს და ანაწილებს შემდეგ PepsiCo-სა და საკუთარ პროდუქტებს: პეპსი, პეპსი შავი, პეპსი შავი ლაიმი, მირინდა ფორთოხალი, მირინდა ვაშლი, Mirinda Seasonal In & Outs, 7UP, აქუაფინა ლიმონი, ლიფტონის ცივი ჩაი, Fruktoviy Sad, Iberia Fizzy Ice Tea, იბერია ლიმონათი, Maxx Power ენერგეტიკული სასმელი. სულ 110 SKUs (შესანახი ერთეული).

წარმოების პროცესი მიმდინარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქარხანაში. წარმოების მოცულობა აკმაყოფილებს კომპანიის მიმდინარე გაყიდვების საჭიროებებს და შესაძლებლობას მომდევნო 2 წლის განმავლობაში მაინც.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის კომპანიას ჰყავდა 307 და 289 თანამშრომელი, შესაბამისად.

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის გამოშვებულ აქციებს:

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შპს ELSU Inc.	84.90%	84.90%
ალშაფარ აჰმად აბდულა ალი	15.10%	15.10%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის 84.90% აქციონერი არის შპს ELSU Inc., მშობელი კომპანია, რომელიც თავის მხრივ არის კონტროლირებული ინვესტორთა კორპორაციუმის მიერ სარქისიანების ოჯახის ხელმძღვანელობით, როგორც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

განვითარების გეგმები

კომპანიას გააჩნია ხედვა, რომ გახდეს ყველაზე სწრაფად მზარდი კონკურენტი ქართული არა-ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე, უფრო დიდი და ძლიერი ბიზნესის განვითარებით, რათა 2020 წლის ბოლომდე იყოს თავდაჯერებული, გაზარდოს მომხმარებლები ღირებულების შექმნით, განსხვავების შეტანით, მხიარული მომენტების შთაგონებით, ბედნიერებითა და ოპტიმიზმით.

კომპანია ცდილობს:

- **ხარისხი** – მიაწოდოს მაღალი ხარისხის პროდუქტები და გაზარდოს ბრენდის პორტფელი, რომელიც ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს აკმაყოფილებს;
- **მომხმარებლის კმაყოფილების დონე** – წარუდგინოს მაღალი ხარისხის მომსახურება მომხმარებლებს და გაზარდოს ის გადამწყვეტი ნაწილი კომპანიის ზრდის სტრატეგიაში;
- **თანამშრომლები** – დაასაქმოს, განავითაროს და შეინარჩუნოს უდიდესი ნიჭის მქონე თანამშრომლები კომპანიის მომავალ ლიდერებად;
- **თანამშრომლობა** – მუდმივად გაზარდოს გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა ჩვენს ხალხს შორის;
- **იმოქმედონ როგორც მფლობელებმა** – დაგეგმონ, იმოქმედონ, აიღონ პასუხისმგებლობა და იყონ პასუხისმგებელი ჩვენი პატრონების წინაშე.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დისტრიბუციის წერტილები

კომპანიას აქვს დისტრიბუციის წერტილები საქართველოს 4 რეგიონში, კერძოდ: აჭარის, კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. თბილისში წარმოებული მზა საქონელი ტრანსპორტირდება რეგიონალურ საწყობებში და შემდეგ ნაწილდება მაღაზიებში.

ადგილობრივი განაწილების გარდა, კომპანია აწარმოებს მინის ექსპორტს და თუნუქის ქილით პროდუქციის გატანას სომხეთსა და აზერბაიჯანში.

წარმოების საშუალებები

კომპანია ინარჩუნებს პროდუქტის ხარისხს PepsiCo, Inc. რეგულაციების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად. თითქმის 20 წლის არსებობის განმავლობაში, არასოდეს გამოთქმულა პრეტენზიები პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით როგორც PepsiCo-დან ასევე არც საქართველოს მარეგულირებელი მხარეებიდან.

პროდუქციის მაღალი ხარისხის დაცვა მიიღწევა შიდა პროფესიული რესურსების მუდმივი ზედამხედველობით, აგრეთვე მნიშვნელოვანი ინვესტიციებით საწარმოო ხაზებსა და პერსონალის ტრენინგებში. კომპანია რეგულარულად ახორციელებს რემონტებს წარმოების ხაზებში, რომელიც უზრუნველყოფს მანქანა დანადგარების შუფერხებელ მუშაობას.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“ ფლობს შემდეგ სერთიფიკატებს:

1. AIB 910/1000
2. AIB 920/1000
3. ISO 22000:2005
4. ISO 11001-1:2009
5. FSSC 22000
6. QAS PepsiCo audit 2018: 99.12%
7. Global 3D Quality Score: Plant Quality 2017 BLUE

ფინანსური შედეგები

კომპანიამ დაკარგა შპს „Sah & Co“ როგორც სახელშეკრულებო პარტნიორი 2017 წლის ნოემბერში, მნიშვნელოვანი წვლილის შემოტანი შემოსავლების სამიზნის მაჩვენებლებში. იმისთვის, რომ შპს Sah & Co-ს დანაკარგის კომპენსირება მომხდარიყო (ენერგეტიკულმა სასმელებმა ‘Boom fire’ და ‘Boom best’) კომპანიამ შეიმუშავა ახალი ენერგეტიკული სასმელი და ჩაუშვა 2018 წლის აპრილში. კომპანიამ ასევე განახორციელა დამატებითი ძალისხმევა პეპსის ძირითადი ბიზნესის გასაზრდელად 2018. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 2018 წელს კომპანიამ წარმატებით მოახერხა ჩაენაცვლებინა წმინდა გაყიდვები და მარჯა, წარმოშობილი ადრე შპს Sah & Co-ს ბიზნესიდან. 2018 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, კომპანიამ მოახერხა პეპსის ძირითადი პროდუქტების გაყიდვების გაზრდა 35 %-ით 38 მილიონ ლარამდე.

მენეჯმენტის გუნდის ცვლილების შემდეგ 2016 წლის შუა პერიოდებში, კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც ლიტრებით ასევე გაყიდული რაოდენობით გასული 4 წლის განმავლობაში.

კომპანიის გაყიდვების შემოსავლები ასევე სტაბილურად იზრდება:

	2018	2017	2016	2018 vs 2017	2017 vs 2016
ძირითადი ბიზნესი	37,730	28,038	23,157	35%	21%
სახელშეკრულებო (შეფუთვა)	-	12,661	12,796	0%	(1%)
სულ	37,730	40,699	35,953	(4%)	13%

ახალი მენეჯმენტის დაქვემდებარებაში, კომპანიის დარეგულირებული EBITDA (მოგება, პროცენტებამდე, დაბეგრამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე) მუდმივად უმჯობესდებოდა. 2018 წლის განმავლობაში დარეგულირებული EBITDA გაიზარდა ~300 ათასი ლარით 2017 წელთან შედარებით.

სს „იბერია რეფერშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის წმინდა მოგებაზე ძლიერ იმოქმედა FOREX-ის არამდგრადობამ, იმ ფაქტის გამო რომ თითქმის ყველა ბანკის და აქციონერის სესხები არის უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა, ნედლი მასალის უმეტესობა იმპორტირებულია. კომპანიას ჰქონდა დადებითი სამუშაო კაპიტალი 1,193 ათასი ლარის ოდენობით, დაგროვილი ზარალი 33,900 ათასი ლარი და უარყოფითი წმინდა აქტივები 17,623 ათასი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გაწია პერიოდული დანაკარგები საქიანობებიდან 2018 და 2017 წლებში, 2,588 ათასი ლარისა და 1,942 ათასი ლარის ოდენობით.

2016 წელს შპს ELSU Inc. – ს მიერ სს „იბერია რეფერშმენტსი“ 84.9% –იანი წილის კონსოლიდაციის შემდეგ, მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს ცვლილების სტრატეგიას კომპანიის საქმიანობის შედეგის გასაუმჯობესებლად და მისი მომგებიანობის და მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

2016 წლიდან კომპანიამ წარადგინა ახალი პროდუქტები ბაზარზე გასაყიდად: 0.25 პატარა ბოთლი, მირინდა საზამთრო, პეპსი შავი (უშაქრო), მირინდა ანასასი, პეპსი ლაიმი (უშაქრო), ლიმონათი „იბერია“ ახალი არომატები, იბერია ცივი ჩაი, ენერგეტიკული სასმელი Maxx Power. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა არსებითი საკაპიტალო ინვესტიცია ვაჭრობის ინფრასტრუქტურაში, ვაჭრობის ინსტრუმენტებში, წარმოებასა და ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურაში.

კომპანია საჭიროებდა ფულადი ინვესტიციები აქციონერებისგან, მის მიერ განხორციელებული სწრაფი გაყიდვების და არხების განაწილების ხელშესაწყობად, სადაც ორგანიზებული ვაჭრობა წინა წლებთან შედარებით უფრო მძლავრი ხდება. ბევრი ახალი ორგანიზებული ვაჭრობის კლიენტთა (ორგანიზებული ვაჭრობა (/OT) - კლიენტები ბევრი მაღაზიით ერთი და იმავე იურიდიული პირის სახელით) მოზიდვა ითხოვს უფრო და უფრო მეტ ინვესტიციას ვაჭრობაში, მაგ.: ფასდაკლებები და რეტრო ბონუსები. ხარჯების გარდა, „OT“ მოითხოვს მეტ საკრედიტო ვადებს, მაშინ როცა ტრადიციული ვაჭრობის არხის კლიენტები უმეტესად მუშაობენ ნაღდ ფულზე. ამიტომაც, ყველა ზემოთ აღნიშნულ გარემოებას მოაქვს კომპანიისთვის გამორჩეულად დიდი გაყიდვები, ხოლო მომხმარებლისგან თანხის ამოღებას სჭირდება უფრო მეტი დრო ვიდრე წინა წლებში.

ორგანიზაციული ვაჭრობის არხი ასევე მოითხოვს მეტ საწყობს მაღაზიის ზომის გამო, რომელსაც თავის მხრივ სჭირდება ნედლეულისა და დასრულებული საქონლისთვის დიდი ზომის საწყობი კომპანის დაწესებულებაში. ეს ასევე უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო კაპიტალის თვალსაზრისით.

რიკსები და გაურკვევლობები

ლიკვიდურობის რისკი – სწრაფი ზრდა მოითხოვს უფრო მეტ ინვესტიციას სავაჭრო მარკეტინგში და სავაჭრო ინფრასტრუქტურაში, რომელიც თავის მხრივ აყენებს კომპანიას ლიკვიდურობის მოთხოვნების წინაშე.

რისკის დასაფარად მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს და ანახლებს პროდუქტიულობის და ეფექტურობის პროცესებსა და პროცედურებს ბიზნეს ციკლის ყველა ბიზნეს აქტივობაში: წარმოება, გაყიდვები, დისტრიბუცია, ზოგადი მართვა, საკრედიტო კონტროლი, ფულადის ახსრების მართვა.

შესაძლებლობების შეზღუდვა – FMCG პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდასთან ერთად (პროდუქტები, რომელიც იყიდება სწრაფად და დაბალ ფასად), აუცილებელია წარმოების ხაზების განახლება, პროდუქციის დეფიციტის მარაგის გარეშე დარჩენის თავიდან ასაცილებლად.

ყოველწლიურად კომპანია ინვესტირებს ახორციელებს CAPEX- ში კაპიტალური ხარჯების წარმოებაში, რათა შეასრულოს წარმოების ხაზების რემონტები, რაც შედეგად იწვევს უფრო მაღალ შესაძლებლობებს. კომპანიის შეფასებით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში მას ახალი საწარმოო ხაზების ინვესტიცია დასჭირდება, რათა შესაძლებლობები შეინარჩუნოს ბაზრის პოზიციის დონეზე და აქციონერები სრულად უჭერენ მხარს ამ მიდგომას. დატვირთული სეზონის განმავლობაში შესაძლებლობების დროებითი შეზღუდვა შეიძლება მოხდეს, რომელიც შეიძლება დაიფაროს სახელშეკრულებო-შეფუთვით მისი დაკავშირებული მხარეებიდან სომხეთში, რომელსაც გააჩნია უფრო მეტი მარაგი წარმოებაში.

2016 წლიდან აქციონერებმა მოახდინეს მნიშვნელოვანი ოდენობის თანხის ინვესტირება სესხების საშუალებით, რომელიც ძირითადად გამოყენებულ იქნა სამუშაო კაპიტალის და კაპიტალური ხარჯების საჭიროებების დასაფინანსებლად მაგ. წარმოების ხაზის შენარჩუნება, სავაჭრო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო საშუალებები. კონკურენტუნარიანი პოზიციის შესანარჩუნებლად ქართულ ბაზარზე და გასაფართოებლად, კომპანიამ შეიძინა მნიშვნელოვანი რაოდენობით მაცივრები 2016 წლიდან, რომლებიც განთავსდა სხვადასხვა

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

ხელმძღვანელობის ანგარიში (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მაღაზიებში მთელ საქართველოში. 2019 წელს კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების გაგრძელებას მაცივრებში და წარმოების შესაძლებლობებში, ბაზრის გაფართოების მხარდასაჭერად.

კომპანიამ ასევე შეიძინა 15 ახალი სატვირთო მანქანა მიწოდებისთვის 2017 და 2018 წლებში, განაწილების ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების მიზნით (სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება, საწვავის ეფექტური გამოყენება, მიწოდების მწარმოებლობა).

ვალუტის რისკი - რადგან მზა პროდუქციის ნედლეულის უმეტესი ნაწილი იმპორტირდება, რის შედეგადაც უცხოური ვალუტის კურსი დიდ როლს ასრულებს გაყიდული საქონლის ღირებულების ფორმირებაში, შესაბამისად, ქმნის დატვირთვას კომპანიის მომგებიანობაზე. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია სესხები უცხოურ ვალუტაში, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში, რომელიც დამატებით წნეხს უქმნის კომპანიის მომგებიანობას.

მენეჯმენტი გეგმავს ამ რისკის მოგვარებას ახალი ფასების სტრატეგიებით, მაგრამ შეფერხებით, იმის გამო, რომ ის ხდება თავისი უფრო ძლიერი კონკურენტის საფასო მიმდევარი. კომპანია ასევე რეგულარულად განხორციელებს ეფექტურობის გაზრდის ძეგნას მიწოდების ქსელში და შესყიდვაში, რათა შეამცირონ ფინანსური ვალუტის რისკები იმპორტიდან.

FMCG ბაზარზე OT არხის წილის ზრდა – OT მომხმარებლები ითხოვენ უფრო მეტ ინვესტიციას ვაჭრობაში ტრადიციული ვაჭრობის (TT) მომხმარებლებთან შედარებით. OT მომხმარებლებს აქვთ უფლება მოითხოვონ უფრო მეტი ფასდაკლება, რადგანაც მათ აქვთ ბევრი მაღაზიები და წარმოდგენილი პროდუქტების გაყიდვას მოაქვს მეტად მაღალი მოცულობა, ვიდრე TT-ში. გარდა ამისა, რადგანაც OT ხდება უფრო და უფრო მოხერხებული მომხმარებლებისთვის, TT -ს პოპულარობა ეცემა თანდათანობით, რაც იწვევს პატარა მაღაზიების უფრო მოწყვლადობას ამ ცვლილებებისადმი. შედეგად, TT-ში კომპანიის პროდუქტების გაყიდვა ხდება უფრო და უფრო რთული.

რამდენადაც, კომპანიის ზრდის გეგმა არის OT-გაყიდვების გაზრდა, მენეჯმენტმა მხარი დაუჭირა სტრატეგიას OT -გაყიდვების არხების დაფინანსების გაზრდით. გარდა ამისა, კომპანია რეგულარულად ადევნებს თვალს ბაზრის ტენდენციებს, OT-სთვის, ასევე TT- არხებისთვის მიწოდებასა და ლოჯისტიკაში ეფექტურობის შეთავაზებით.

სამომავლო პერსპექტივები

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აქციონერების და ძლიერი მშობელი კომპანიის სრული მხარდაჭერით, სს „იბერია რეფრეშმენტსი“ გააგრძელებს მის საქმიანობას და ზრდას მომდევნო წლებში, ახალი პროდუქტების, სტრატეგიების და საწარმო ობიექტების უწყვეტი წარდგენით.

სს „იბერია რეფრეშმენტსი“

დანართი „ა“ - არააუდირებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ათასობით ქართულ ლარში)

დანართი „ა“ - არააუდირებული არასაზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (NON-GAAP) კრიტერიუმები

წინამდებარე დანართი „ა“ შეიცავს ინფორმაციას მოგებას საპროცენტო ხარჯის, გადასახადების და ცვეთა და ამორტიზაციის გამოკლებით (EBITDA-ს) შესახებ და დარეგულირებულ EBITDA-ს როგორც ქვემოთაა მოცემული. ეს დანართი არ წარმოადგენს აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

ჩვენი საანგარიშო ფინანსური შედეგები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“), როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია, მიღებული ჩვენი საანგარიშო ფინანსური შედეგებისგან, მაგრამ იგი არ არის მოთხოვნილი ფასს-ს მიერ და ითვლება არააუდირებულ არა-საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების კრიტერიუმებად.

დირექტორები თვლიან, რომ EBITDA და დარეგულირებული EBITDA წარუდგენენ დამატებით სასარგებლო ინფორმაციას აქციონერებს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. ეს კრიტერიუმები არ არის განსაზღვრული ფასს-ით და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს პირდაპირ შედარებული სხვა კომპანიების NON-GAAP კრიტერიუმებთან. ეს კრიტერიუმები არ არის გათვალისწინებული, შეცვლისთვის ან უპირატესობის მინიჭებისთვის ფასს-ის კრიტერიუმების მიმართ. წარმოდგენილი არააუდირებული არა-საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (Non-GAAP) კრიტერიუმები თანხვედრაშია უახლოესი ფინანსური ანგარიშგების ხაზთან, რაც ნიშნავს მოგებას საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე. EBITDA და დარეგულირებული EBITDA-ს გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

	2018, არაუდირებული	2017, არაუდირებული
ზარალი დაბეგრამდე	(2,588)	(1,942)
საპროცენტო ხარჯი	2,408	2,078
ცვეთა და ამორტიზაცია	1,819	1,535
EBITDA	1,639	1,671
უცხური ვალუტის გადაცვლის ზარალი მიღებული სესხებიდან	617	1,387
უცხური ვალუტის გადაცვლის ზარალი სესხების გამორიცხვით	875	249
ანარიცხიდ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის	688	169
კორექტირებები საგადასახადო ხარჯებში*	-	56
დარეგულირებული EBITDA	3,819	3,532

* 2017 წელს აღიარებული საგადასახადო ხარჯები, ეხება 2014-2016 წლებში საგადასახადო ორგანოების მიერ, ჩატარებული საგადასახადო აუდიტის შედეგად დარიცხულ დამატებით გადასახადებს. მენეჯმენტმა გადაწყვიტა ასახოს ეს ხარჯები შესაბამის პერიოდში დარეგულირებული EBITDA გაანგარიშებისთვის.